

**"საძარბაველეს ეროვნული
თანხმობის ასოციაციის"
ისტორია**

თბილისი
2005

© ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი, 29.03.2005

მასალები მოამზადა სანდრო უსტიაშვილმა
რედაქტორი ნინელი ჩიხლაძე
დიზაინერი ალიონა ელტიშევა
ფოტომასალა: 1989-1991 წლის პრესიდან

დაიბეჭდა “ქალთა პოლიგრაფიულ სერვისში”
თბილისი, წინამძღვრიშვილის 40
ტელ: (995 32) 942 699

სარჩევი

შესავალი	5
ეროვნული თანხმობის იდეის სათავეებთან	5
პოლიტიკაში აქტიურად ჩაბმამდე	5
ქართულ ჯარისკაცთა ოცეული	6
„მოყვარე“	6
ასე იქმნებოდა „სეთა“	7
“ეროვნული თანხმობის” მანიფესტი	9
ცუდად შენიღბული მტრობა	10
“ეროვნული თანხმობა” და სახალხო ფრონტი	11
რას ნიშნავს სიტყვა “პატრიოტი”	12
პირველი დიდი კონფერენცია	15
“ეთნიკური ნაღმის” წინააღმდეგ	18
აზორიგებობის თემა და „ურაკატრიოტიზმი“	19
“ინტერფრონტი” – მორიგი პროვოკაცია	19
ეროვნული თანხმობა თუ ინტერფრონტი?	19
კონგრესის შესახებ კანონის მომზადება	20
ბზარი ეროვნულ მოძრაობაში	20

ხელშეკრულების პროექტის მნიშვნელობა	21
სრუ სტრატეგიის დასახელებად	22
“სეთა” და ვალერიან ალვაძის პარტია	23
რა არ ამტკიცებდა ალვაძე “სეთას” წარმომადგენელს	24
დანაშაული თუ წინასაარჩევნო რეკლამა?	24
უზენაესი საბჭოს არჩევნები	25
რატომ გაერთიანდა “სეთა” ხლოკ “თავისუფლებასში”	26
“სეთა” და სხინვალის რეგიონის კომფლიქტი	27
“აურზაური არაფრის გამო”	27
განუხორციელებელი სამშვიდობო ინიციატივა	28
“სეთა” და ყარაბაღის კომფლიქტი	29
ეჭვიანი ხელისუფლების პირობებში	29
მღელვარე საქმეების დღეები	30
ოპოზიციის “ღრობითი შტაბი”	31
შეხვედრა თებოცი კიტოვანთან და აკაკი ასათიანთან	31
გარემოების მსხვერპლნი	32
“მესამე ძალი” გამოჩენა უნივერსიტეტის ბაღში	32
“სეთა” – მშვიდობის დესპანი	33
“ეს განწირული სულისკვეთება”	34
4 ოქტომბრის ეპოპეა	35

დღევანდელი გადასახედიდან.....	36
თბილისის მოვლენები რუსულ პრესაში.....	36
“სეთას” ახალი ტიპის ბიზლინოთეკა.....	37
“სეთას” საქველმოქმედო აქციები.....	37
“თანხმობის ბაღი”.....	38
ბაეროს მშვიდობის კვირეული.....	39
“სეთას” ურთიერთობა “იუნესკოსა” და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან.....	39
მონაწილეობა სპარტაშორისო ქონჯერაძეებში.....	40
ახალი ეტაპი მესამე სექტორის განვითარებაში.....	41
ყაფირის გატეხვამდე და მის შემდეგ.....	41
“სეთა” და გაზეთ “რეზონანსის” ისტორია.....	42
ეპილოგის მაგიერ.....	43

შესავალი

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისა და 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გარკვეული წვლილი “საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაციამაც” (“სეთა“) შეიტანა. ქართველი ერის წინაშე არაერთხელ დამდგარა ეროვნული თვითგამორკვევის აუცილებლობა და ბუნებრივია, დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად იწყებოდა ეროვნული მოძრაობაც, რომლის ესტაფეტა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ფაქტობრივად, “სეთამ” ეს ესტაფეტა საქართველოში იმუამად მოქმედ სხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, ე.წ. “თერგდაღეულებისაგან” მიიღო. მე-19 საუკუნის “სამოციანელთა” (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი და სხვები) უდიდესი წვლილი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასა და ქართველი ერის თვითგამორკვევის საქმეში ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მათ თეორიულად და პრაქტიკულად მოამზადეს ნიადაგი მომავალში საქართველოს ცივილიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარებისათვის. ამის შედეგია ერთი მეტად მნიშვნელოვანი თეორიაც, რომელიც მხარდამჭერთა არსებობის მიუხედავად, ვერ განხორციელდა, რთული პოლიტიკური ვითარების გამო.

ეროვნული თანხმობის იდეის სათავეებთან

ილია ჭავჭავაძესაც და მისი დროის სხვა ცნობილ მოღვაწეებსაც კარგად ესმოდათ, რომ გარეშე მტერი მხოლოდ ქართველ ერს არ უქმნიდა საფრთხეს და თანაც, დამოუკიდებლად მასთან გამკლავება შეუძლებელი იყო. სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი, ეურნალისტი და მოაზროვნე არჩილ ჯორჯაძე, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, გამოსავალს “საერთო ნიადაგის თეორიის” პრაქტიკულ განხორციელებაში ხედავდა. ამ თეორიის თანახმად, ყველა ერის, კლასისა და წოდების წარმომადგენლებს ერთმანეთთან ქიშპობა უნდა შეეწყვიტათ და საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებულიყვნენ. “რაგვარი პოლიტიკა უნდა აწარმოოს ქართველმა ხალხმა, რა უნდა დააწეროს

მან თავის დროსაზე? ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი თუ ერთსა და იმავე დროს — ერთიც და მეორეც. სოციალ-დემოკრატები ინტერნაციონალურ გზას ირჩევდნენ, ჩვენებური ნაციონალისტები — ნაციონალურს, ჩვენ კი გვგონია, რომ საქართველო დღეს იმგვარ პირობებში იმყოფება, რომ იმის წინაშე, ერთსა და იმავე დროს, ორი გზაა გასაველელი: ერთი ეროვნული კულტურის განვითარების გზა, მეორე კავკასიის ერებთან ურთიერთობის განმტკიცების გზა, — გზა ინტერნაციონალური“, — მე-20 საუკუნის დასაწყისში გაზეთ “ამირანში” დაბეჭდილი არჩილ ჯორჯაძის ეს სიტყვები აქტუალური გახლდათ 90-იანი წლების დასაწყისისთვისაც მით უფრო, რომ იმ პერიოდში საბჭოთა სპეც.სამსახურები ყოველნაირად ცდილობდნენ, ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს შორის განხეთქილება ჩამოეგდოთ. ეროვნული მოძრაობის მონაპოვართა შენარჩუნება და განმტკიცება ხომ, უპირველესად, სწორედ ეროვნული თანხმობის მეშვეობით იყო შესაძლებელი.

პოლიტიკაში აქტიურად ჩაბმამდე...

80-იანი წლების მიწურულს, თბილისში არსებობდა თანამოაზრეთა გარკვეული წრე; ალექსანდრე რუსეცკი, მალხაზ რამიშვილი და მათი მეგობრები მაშინ არსებულ უამრავ პრობლემაზე მსჯელობის პარალელურად ეძებდნენ დრომოჭმული საბჭოთა სისტემიდან საქართველოს გამოსვლის პოლიტიკურ გზებს. ისინი კარგად ხვდებოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მცდელობის მიუხედავად, ამ ტოტალიტარულ სისტემას დიდი დღე აღარ ეწერა; ამასთან, აუცილებელი იყო, “მომე რესპუბლიკების” კავშირიდან საქართველოს გამოსვლის პროცესი უმტკივნეულოდ წარმართულიყო, თუმცა ხელშემშლელი ფაქტორი ცოტა როდი იყო. მალე თანამოაზრეთა მსჯელობას მათი გარკვეული, კონკრეტული ქმედებებიც მოჰყვა; მართალია, ალექსანდრე რუსეცკი მალე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, მაგრამ დრო უქმად არც იქ დაუკარგავს. ფაქტობრივად, მაშინდელ თავდაცვის სისტემაში არსებულ პრობლემებზე მუშაობა მისთვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ერთგვარ დებიუტად იქცა.

ქართველ ჯარისკაცთა ოსეული

“თბილისელ მეგობრებთან ურთიერთობა არც ქალაქ ვოლოგდასთან არსებულ საინჟინრო-სამშენებლო ნაწილში სამხედრო სამსახურის დროს შემიწყვეტავს — ინტენსიური მიმოწერა გვქონდა. ამავე დროს, მაღხაზ რამიშვილი საქართველოს ისტორიული რუკებითა და უამრავი სხვა მასალით მამარაგებდა, რასაც იქ მყოფ ჩვენს თანამემამულეებსაც ვაცნობდით. სამხედრო ნაწილში ქართველ ჯარისკაცთა ოცეული ჩამოვყალიბეთ და საკმაოდ აქტიური ურთიერთობა გვქონდა სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცებთან და სტუდენტებთანაც, რომელთაც ადამიანის უფლებებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხებზე ვესაუბრებოდით. ამავედროულად, ინფორმაციას ვიღებდით საბჭოთა კავშირის სხვა სამხედრო ნაწილებში (ვოლოგდიდან დაწყებული და ხაბაროვსკით დამთავრებული) არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელსაც თბილისში ჩვენს მეგობრებსაც ვაწვდიდით,“ — ასე იხსენებს ჯარში გატარებულ წლებს ალექსანდრე რუსეცი.

აქვე შემდეგი გარემოებაც უნდა აღინიშნოს: ეს ოცეული იყო ერთ-ერთი პირველი ორგანიზაციული რგოლი, რომლის შექმნაც წინ უძღვოდა სამომავლოდ გაცილებით დიდი და უფრო სერიოზული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. მის ლოგიკურ გაგრძელებად იქცა საზოგადოებრივი ჯგუფი “მოყვარე“, რომელიც თბილისში, ალექსანდრე რუსეციის სამშობლოში დაბრუნების (იგი სამხედრო სამსახურიდან 1989 წლის 9 მაისს, ანუ 9 აპრილის მოვლენებიდან ერთი თვის თავზე დაბრუნდა) შემდეგ ჩამოყალიბდა.

„მოყვარე“

ალექსანდრე რუსეციმ, მაღხაზ რამიშვილმა, ქეთევან ოფნარენკომ, ლუიზა ბოჩკოვამ და მათმა სხვა თანამოაზრეებმა თავიდანვე კარგად იგრძნეს საფრთხე, რომელიც საქართველოში შოვინიზმისა და აგრესიული ნაციონალიზმის თანდათანობით, გამიზნულ დათესვას მოყვებოდა. ისიც ნათელი იყო, რომ ეს საფრთხე კარგს არაფერს მოუტანდა საქართველოში უკვე სერიოზულად განვითარებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. არადა,

საჭირო იყო, საქართველოს ერთი ისტორიული ფორმაციიდან ახალ ფორმაციაში გადასასვლისათვის უმტკივნეულოდ გაეგლო ტრანსფორმაციის პროცესი.

თანამოაზრეების ჯგუფი თანდათან გაფართოვდა და ცოტა მოგვიანებით “მოყვარე” ეწოდა. იგი მიზნად ისახავდა სხვადასხვა ქვეყნის სპეც.სამსახურების მიერ საქართველოში “შემოგდებული” აგრესიული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. წარმატებული საქმიანობისთვის საჭირო იყო ჯგუფში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა გაერთიანება. სხვათა შორის, გაწევრიანების სურვილს რამდენიმე სოფლის მოსახლეობაც კი გამოთქვამდა;

თუმცა, შემდეგ მათზე პასუხისმგებლობის აღება და ერთბაშად ამდენი ადამიანის საქმიანობის ეფექტური კოორდინირება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც “მოყვარემ” უარი განაცხადა ამ ნაბიჯის გადადგმაზე. ამავე დროს, მისთვის აუცილებელი იყო მოკავშირის მოძიებაც. სხვა შემთხვევაში, ერთ მცირე ჯგუფს, რომლის არსებობას სპეც.სამსახურების სცენარი არ ითვალისწინებდა, დაწყებული საქმის გაგრძელება გაუჭირდებოდა.

ასე იქმნებოდა „სათა“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული იყო საქართველოს სახალხო ფრონტის მცირერიცხოვანი ჯგუფი. მალე მასთან თანამშრომლობა დაიწყო “მოყვარემ“, რომელსაც გარკვეული კონსულტაციებით მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ ქართველი ინტელიგენციის ცნობილი და ავტორიტეტული წარმომადგენლები — სერგეი სერგებრიაკოვი და ლევან ხაინდრავა. სწორედ მათი რჩევით მოუძებნეს სახელწოდება ახალ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლის შექმნას, “სახალხო ფრონტთან” ერთად, 50-მდე პროფესორ–მასწავლებელმა და სტუდენტმა დაუჭირა მხარი.

“სახალხო ფრონტთან” არსებული ასოციაცია “ეროვნული თანხმობა” — ასე ეწოდა ამ საზოგადოებას. მას ფოლკლორის სასახლეში (რომელიც მდებარეობდა ყოფილი პლეხანოვის ქ.№105-

ში, არტოს ბაღში) მისმა დირექტორმა, ნათელა ჯილაურმა გამოუყო მცირე ოფისი. დღესაც შემორჩენილია იმ 29 ადამიანის სია, რომლებიც ასოციაციაში პირველები გაწევრიანდნენ (წევრების თანმიმდევრობა დაცულია სიის მიხედვით):

- 1) სერგეი სერებრიაკოვი (ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი);
- 2) ქეთევან ოფნარენკო (ფიზიკოსი);
- 3) ლუიზა ბოჩკოვა (ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი);
- 4) რობინზონ სირაძე (თსუ-ს მეცნიერ-თანამშრომელი);
- 5) ვიქტორ დომუხოვსკი (მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი);
- 6) ვირგინია ტომონსკაიტე (მთარგმნელი);
- 7) მალხაზ რამიშვილი (თსუ-ს სტუდენტი);
- 8) ალექსანდრე რუსეცკი (თსუ-ს სტუდენტი);
- 9) ნიკოლოზ შაყულაშვილი (თსუ-ს სტუდენტი);
- 10) ალბინა სტადუხინა (თსუ-ს სტუდენტი);
- 11) მიმოზა დადიანი (თსუ-ს სტუდენტი);
- 12) ირინა მეკლიანი (თსუ-ს სტუდენტი);
- 13) თეა პეტრიაშვილი (სპი-ს სტუდენტი);
- 14) ლელა ნახრატიანი (თსუ-ს სტუდენტი);
- 15) ზურაბ მაჭარაძე (თსუ-ს სტუდენტი);
- 16) ლიკა რუორტკევიჩი (თსუ-ს სტუდენტი);
- 17) მიხეილ ნერსესიანი (სპი-ს სტუდენტი);
- 18) რუდოლფ ოგაჯანოვი (სპი-ს სტუდენტი);
- 19) კობა ნატროშვილი (თსუ-ს სტუდენტი);
- 20) ირმა ყულჯანიშვილი (თსუ-ს სტუდენტი);
- 21) დალი გიორგობიანი (თსუ-ს სტუდენტი);

- 22) ალიკა წერელოვი (ოსუ-ს სტუდენტი);
 - 23) ოთარ ახოზაძე (ოსუ-ს სტუდენტი);
 - 24) თინა კობახიძე (არქეოლოგ. ცენტრ. ბიბლიოთეკის გამგე);
 - 25) მირძა რიგინია (გაერთიანება “თოლიას” ბუღალტერი);
 - 26) ვენერა ჩხეტიანი (რუსული ენის მასწავლებელი);
 - 27) ჩერმენ ძევისაშვილი (ოსუ-ს მასწავლებელი);
 - 28) ნანა ნასყიდაშვილი (შრომის დაცვის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი);
 - 29) მაია რუსეცკი (შრომის დაცვის ინსტიტუტის ლაბორანტი).
- ჩვენ შევძელით, რამდენიმე მათგანს დავკავშირებოდით, რომლებიც იმ პერიოდს ასე იხსენებენ;

ლუიზა ბოჩოვა: “1985 წელს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გავხდი და საკმაოდ წარმატებული სამეცნიერო კარიერა მქონდა. ჩემი საქმე უზომოდ მიყვარს და საზოგადოებრივი თუ პარტიული მოღვაწეობის სურვილი არასდროს გამჩენია. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ის პერიოდი, როცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე რუსეცკი და მისი მეგობრები გავიცანი. ამ ასოციაციაში დიდი ინტერესითაც კი გავწევრიანდი. ისიც უნდა ითქვას, რომ 21–22 წლის ალექსანდრე რუსეცკი მაშინ თითქმის უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი იყო და მასზე ასაკით უფროსებს მისი მართლაც გვჯეროდა. ჩვენს ორგანიზაციას ძალიან ბევრი ბარიერის დაძლევა უხდებოდა და ნებისმიერ საქმეს დიდი ძალისხმევის შედეგად ვაკეთებდით. ასოციაციიდან წამოსვლის შემდეგ, სხვა პარტიებში გაწევრიანების შემოთავაზება არაერთხელ მქონდა, მაგრამ არსად შევსულვარ და დღემდე ჩემს საქმე ვაგრძელებ. ის წლები ძალიან სასიამოვნოდ მახსენდება“.

ქეთევან ოჭარენკო: “კარგად მახსოვს 9 აპრილის შემდგომი პერიოდი, როცა ყველა საოცრად ვიყავით დამუხტულნი და ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც იტყვიან, თავი გვქონდა გადადებული. თუმცა, რამდენიმე თვეში ეს პატრიოტული მუხტი გარკვეულწილად მინეღდა და ბევრმა იმაზე დაიწყო ფიქრი, ეროვნული მოძრაობიდან თავისი წილი სარგებელი მიეღო, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვიოთ

“ეროვნული თანხმობის” ასოციაციაზე. არასდროს დამავიწყდება ალექსანდრე რუსეცკის, მალხაზ რამიშვილის, მოგვიანებით კი ზურაბ მაჭარაძის შემართება და მონდომება. ისინი ხშირად ჩემს ბინაზეც იკრიბებოდნენ და სამოქმედო გეგმებს სახავედნენ, რომელთაც ახორციელებდნენ კიდევ – რამდენადაც ამის საშუალება ეძლეოდათ. ინტენსიურად დავდიოდით მარნეულის, დმანისისა და სამხრეთ საქართველოს სხვა რაიონებში, სადაც სომხებისა და აზერბაიჯანელებს შორის გართულეულ ურთიერთობებზე ვმუშაობდით. ასოციაციამ ამ კუთხითაც საკმაოდ დიდი სამუშაო გასწია, რადგან ჩვენ ყველაზე ნაკლებად ვფიქრობდით პირად კეთილდღეობასა და კარიერაზე“.

“ეროვნული თანხმობის” მანიფესტი

ახალი ასოციაცია საქართველოს მოსახლეობას პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციითა და მანიფესტით გაეცნო:

“ამა წლის (1989 წლის) 2 ნოემბერს თბილისში ჩატარდა სსფ–თან (საქართველოს სახალხო ფრონტი) არსებული საქართველოს პატრიოტთა ასოციაცია “ეროვნული თანხმობის” დამფუძნებელი კრება. ამ ასოციაციის მთავარი მიზანია, საქართველოს მთელი მოსახლეობის ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში ჩაყენების გზით, ეთნიკური კონფლიქტების მოგვარება და სრული ეროვნული თანხმობის დამყარება. კრებამ მიიღო ასოციაციის წესდება, აირჩია სათათბირო, პრეზიდენტი და ვიცე–პრეზიდენტი (ეს თანამდებობა დაიკავა მალხაზ რამიშვილმა). პრეზიდენტი გახდა ალექსანდრე რუსეცკი. კრებამ აგრეთვე მიიღო მანიფესტი, რომელსაც დღეს გთავაზობთ.

საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული საქართველოს პატრიოტთა ასოციაცია “ეროვნული თანხმობის” მანიფესტი

დღეს ქართული ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა უდიდეს აღმავლობას განიცდის. მასში ჩაება ხალხის ფართო მასები, საზოგადოების ყველა ფენა. ამ მოძრაობაში ნელ–ნელა თავის ადგილს პოულობს მთელი ქართველი ხალხი.

მაგრამ დღეს, რეაქციული ძალები, რომლებიც ეროვნულ მოძრაობას ქართველ, განსაკუთრებით არაქართველ მოსახლეობას და მთელ მსოფლიოს წარმოუდგენენ როგორც შოვინისტურ, ექსტრემისტულ მოძრაობას, ხელს უშლიან მოვლენების მშვიდობიან განვითარებას. ყოველივე ეს ძირს უთხრის საქართველოში ოდითგანვე არსებულ ხალხთა მეგობრობის ტრადიციას და ერთმანეთს უპირისპირებს ქართველ და არაქართველ მოსახლეობას, რაც საბოლოოდ არცერთი მხარისთვის არ არის სასურველი.



ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სსფ-თან არსებული საქართველოს პატრიოტთა ასოციაცია “ეროვნული თანხმობის” შემქმნილი საინიციატივო ჯგუფი თვლის, რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი ერის წარმომადგენელთა ღირსების საქმეა, მათ არ ითამაშონ მარიონეტის როლი ბნელი ძალების ხელში; პირიქით, ამოუდგენენ გვერდში ქართველ ხალხს – მისი შეღახული უფლებებისათვის, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლის საქმეში, რითაც, საბოლოო ჯამში, თავისი მშვიდობიანი და ბედნიერი მომავლისათვის იბრძოლებენ, რადგან თავისუფალ საქართველოში ყოველი ერის წარმომადგენელი გაცილებით უფრო უსაფრთხოდ და მშვიდად იცხოვრებს, ვიდრე – დამონებულ ქვეყანაში, რამეთუ თავისუფლება არის წყარო არა მარტო მშვიდობისა, არამედ ძმობისაც. მომავალი ასოციაციის უპირველესი საპროგრამო ამოცანა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნებისა და მიმართულებების საქართველოს მოსახლეობისთვის გაცნობა და მისი პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობაა.

ჩვენ პატივს ვცემთ ქართველი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, სახელმწიფო სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და ხელშეუხებლობას, მის ინტერესებს, ენას, კულტურას, ტრადიციებს. კატეგორიულად ვგმობთ ნებისმიერ სეპარატიზმს და მის კონკრეტულ გამოვლინებებს. ჩვენი სინდისის საქმედ მიგვაჩნია, ვიდევანოთ ქვეყნისთვის, რომელშიც ვცხოვრობთ.

ასოციაციის საინიციატივო ჯგუფი მოუწოდებს საქართველოში მცხოვრებ ყველა ერის წარმომადგენელს, ჩადგნენ ეროვნული მოძრაობის რიგებში, რადგან ამ წმინდა მიწაზე მცხოვრები ყოველი ადამიანი ვალდებულია, იღვწოდეს საქართველოს ბედნიერებისთვის; მაგრამ თუ იგი თვლის, რომ ეს ყოველივე მას არ ეხება და, მითუმეტეს, შეეცდება, ხელი შეუშალოს ეროვნულ მოძრაობას, იგი ამით კომპრომეტაციას უწევს არა მარტო თავის თავს, არამედ იმ ერსაც, რომლის წარმომადგენელიცაა.

ქვეყნის ძალა ხალხის ერთობაშია, ეთნიკური ჯგუფების ერთობაშია და ჩვენ ვალდებული ვართ, ვიბრძოლოთ მათ წინააღმდეგ, რომელნიც პროვოცირებას უწევენ ეთნიკურ კონფლიქტებს.

გაუმარჯოს თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს!”

ამ ასოციაციის ერთერთი წევრი, ზურაბ მაჭარაძე იხსენებს: “შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელად ალექსანდრე რუსეცკი ავირჩიეთ. ჩვენ კურსელები ვიყავით და მას კარგად ვიცნობდი. იგი გამოირჩეოდა როგორც აქტიურობითა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარით, ასევე განათლებითა და ჭეშმარიტი ლიდერის თვისებებით. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ ახალმა ასოციაციამ თავიდანვე ნათლად განსაზღვრა მუშაობის ძირითადი სტრატეგია: სამოქალაქო თანხმობის დამყარება, ერთის მხრივ – ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს და მეორეს მხრივ – პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებს შორის“.

სულად შენიღბული მტრობა

ასოციაციის შექმნას იმთავითვე სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო პრესაში. თუმცა, ეს გამოხმაურება ერთგვაროვანი არ ყოფილა. კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც, შეიძლება ითქვას, უკვე სულს დაფავედა, ამ ფაქტისთვის არასწორი ინტერპრეტაციის მიცემა და სულ სხვა მიზნისთვის გამოყენება სცადა.

1989 წლის 19 ნოემბერს იმ დროისთვის საკმაოდ გავლენიან საკავშირო გაზეთ “იზვესტიაში” გამოქვეყნდა, ერთი შეხედვით, უწყინარი ინფორმაცია, სათაურით – “შექმნა ასოციაცია “ეროვნული თანხმობა“, სადაც ვკითხულობთ: “ხელი შეუწყოთ საქართველოში მცხოვრები ხალხების მეგობრობის განმტკიცებას, ვიბრძოლოთ მათ წინააღმდეგ, ვინც ეთნიკურ კონფლიქტებს აღვივებს, უკეთ შევისწავლოთ საკუთარი ქვეყნის ისტორია, ენა და კულტურა – ასეთ ამოცანებს ისახავს „საქართველოს სახალხო ფრონტთან“ შექმნილი ასოციაცია “ეროვნული თანხმობა“. ასოციაციის დამფუძნებელმა კრებამ აირჩია ხელმძღვანელობა, მიიღო წესდება და მიმართვა—მანიფესტი საქართველოს მშრომელებისადმი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ **სსრკ-ს ძალა მისი ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების ერთობაშია**. ზრუნვა იმ რესპუბლიკის კეთილდღეობისთვის, რომელშიც ვცხოვრობთ, ყოველი ადამიანის პატივისა და ღირსების საქმეა.“

რა თქმა უნდა, ეს სულაც არ იყო ჩვეულებრივი, მხოლოდ რაღაც კონკრეტული მოვლენის გადმოსაცემად განკუთვნილი ინფორმაცია; ამიტომ მას “ეროვნულმა თანხმობამ” პრესაში ჯეროვანი პასუხიც გასცა: “სამწუხაროდ, ახალ ასოციაციას უკვე გამოუჩნდა შენიღბული თუ შეუნიღბავი მტერი. ალბათ, ვიღაცას შიშის ზარს სცემს საქართველოს



წარმოდგენა ეთნიკური კონფლიქტების გარეშე. გაზეთ “იზვესტიიაში” გაჩნდა ცნობა, სადაც ვკითხულობთ, თითქოს ჩვენს მანიფესტში ეწეროს, რომ **“Сила СССР – в единстве ее народов и этнических групп”**. მიზანი ნათელია - სახელი გაუტეხოს ასოციაციას ქართული ეროვნული მოძრაობის თვალში.

იმედია, საქართველოს მთელი მოსახლეობა მხარს დაუჭერს ახლადშექმნილ ასოციაციას, თანხმობისთვის ბრძოლაში.“

იმ პერიოდში ეროვნული თანხმობის მიღწევის პრობლემა ისეთ წახნაგებსა და ქვეტექსტებს შეიცავდა, რაც – აისბერგით – მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს ზედაპირზე, სინამდვილეში კი საკმაოდ ღრმა და მრავლისმომცველია. ამის გამო, ასოციაციის უპირველეს ამოცანად მოცემული პრობლემის შესწავლა, მისთვის სწორი ინტერპრეტაციის მიცემა და მას-მედიის მეშვეობით ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ინფორმირება ითვლებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ “ეროვნული თანხმობის” მიზნები და ამოცანები მნიშვნელოვანწილად ემთხვეოდა “საქართველოს სახალხო ფრონტის” სტრატეგიასა და ტაქტიკას. თუმცა, ბუნებრივია, იყო განსხვავებაც.

“ეროვნული თანხმობა” და სახალხო ფრონტი

“ზარია ვოსტოკას” 1990 წლის 25 მარტის ნომერში დაიბეჭდა ეკა ახალკაცის ინტერვიუ ალექსანდრე რუსეცკისთან, რომელიც ასეთ შეფასებას აძლევდა ასოციაციის ურთიერთობას სახალხო ფრონტთან:

- “ეროვნული თანხმობა” საქართველოს სახალხო ფრონტთან შეიქმნა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენ მოკლებულნი ხართ თვითმყოფადობას?
- არა, რა თქმა უნდა. ჩვენ ვიზიარებთ სახალხო ფრონტის წესდებას, პროგრამას და გვაქვს სრული უფლება, დამოუკიდებელი პოლიტიკა წარვმართოთ.
- ამ დღეებში ქალაქში გავრცელდა ხმები, თითქოს სახალხო ფრონტი მალე უნდა დაიშალოს. რამდენად მართალია ეს?

- „საქართველოს სახალხო ფრონტი“ (სხფ) არის საქართველოს რესპუბლიკის ერთერთი უძლიერესი ორგანიზაცია, რომელიც იბრძვის დემოკრატიული გარდაქმნებისთვის. თავისი არსებობის განმავლობაში მან იმ მოცულობის სამუშაო შეასრულა, რასაც ვერცერთი დღესდღეობით მოქმედი პარტია ვერ დაიკვეხნის. ამავე დროს, სხფ-ს მიერ დაშვებული იქნა რამდენიმე შეცდომა. ამის ძირითად მიზეზად ითვლება ის, რომ ამ პარტიის კარი ღია იყო ყველასთვის და ამიტომ მისი წევრების რიგებში ბევრი ისეთი “ელემენტიც” მოხვდა, რომლებიც პარტიის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად მოქმედებდნენ. ამან შელახა არა მარტო სახალხო ფრონტის, არამედ რესპუბლიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავტორიტეტიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე სხფ-ს სახელით მოქმედებდნენ ხულიგნებისა და ავანტიურისტების ჯგუფები. ისინი ჯერჯერობით არ დასჯილან. ვფიქრობ, ახლო მომავალში გაიმართება სხფ-ს ყრილობა, რომლის ერთერთი ამოცანა იქნება პარტიის გაწმენდა ამგვარი ხალხისგან.”

„საქართველოს სახალხო ფრონტი“ (სხფ) და ასოციაცია წლების მანძილზე მშვიდობიანად და კონსტრუქციულად თანაარსებობდნენ. მათი დაშორება ერთმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ გამოიწვია: სახალხო ფრონტმა საერთო იმედი ვერ გაამართლა და ეროვნული გამაერთიანებლის ფუნქცია ვერ შეასრულა. მოგვიანებით პარტიის რიგებს თანდათან გამოაკლდნენ გარკვეული ძალები და სხფ-ს დაშლის აღბათობაც კი შეიქმნა. რაც მთავარია, პარტიის მიერ არჩეულმა პოლიტიკურმა კურსმა ვერ უზრუნველყო მისი დანიშნულებისა და ძირითადი მიზნის განხორციელება. ამ და სხვა მიზეზთა გამო, მისი და “სეთას” გზები გაიყარა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხფ-ი ერთგვარი ტრამპლინი აღმოჩნდა „ეროვნული თანხმობის ასოციაციის“ არაერთი სახელმწიფოებრივი პრობლემის გადაჭრის საერთო-ეროვნულ პროცესში ჩართვისათვის.

რას ნიშნავს სიტყვა “პატრიოტი”...

ცოტა მოგვიანებით, ასოციაციის გაზეთში “*Вестник АНС*” დაიბეჭდა ინტერვიუ, სათაურით: “საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული ასოციაცია “ეროვნული თანხმობის” პრეზიდენტ ალექსანდრე რუსეცკის პასუხები ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთ “ლეზინსკოე ზნამიას” ჟურნალისტებს“. სრულად მოგვყავს ეს ინტერვიუ:

- “ • როდის და ვის მიერ შეიქმნა ასოციაცია? მისი მიზნები და ამოცანები? რომელი ეროვნების წარმომადგენლებს აერთიანებს იგი?
- მიზანი: საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დამოუკიდებლობა; სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, რომელშიც სრული ეროვნული თანხმობის პირობებში იცხოვრებენ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განსახლებული სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები.

ამოცანები: ხელი შევეუწყოთ დემოკრატიულ გარდაქმნებს, რომელთა მეშვეობითაც დაიწყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. აუცილებლად მიგვაჩნია, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, ეროვნულთან ერთად, სახალხო ხასიათი მიეცეს. აქედან გამომდინარე, საკუთარ თავს ვთვლით ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის განუყოფელ ნაწილად. ჩვენ მოვეუწოდებთ ყველა ეროვნების წარმომადგენლებს, დაძლიონ ეთნიკური განკერძოების კომპლექსი და ამავე დროს, საკუთარი თავი გააცნობიერონ საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქეებად - მის პატრიოტებად. საერთო მიზნისთვის ბრძოლით ჩვენი საზოგადოების ევოლუციური განვითარების პროცესი ქაოტურიდან პარალელურ პროცესად იქცევა. სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა უნდა ითანამშრომლონ და არ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. აგრეთვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკოორდინაციო ცენტრების შექმნა.

ჩვენი ასოციაცია ჩამოყალიბდა გასული წლის ნოემბერში. ამის ინიციატორები იყვნენ სტუდენტები და თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის თანამშრომლები, ასევე – საქართველოს სახალხო ფრონტის პირველადი ჯგუფი “მოყვარე“. დაარსების პირველივე დღიდან ასოციაციაში გაწევრიანდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები.



- რას გულისხმობთ ცნებაში “საქართველოს პატრიოტი“, არაქართველებთან მიმართებაში?
- ჩვენ საქართველოს მოსახლეობას არ ვყოფთ ქართველებად და არაქართველებად; ჩემი აზრით, საქართველოს მოსახლეობა შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად:

1. ხალხი, რომელიც საქართველოს საკუთარ სამშობლოდ თვლის და მისი სახელმწიფო ინტერესების ერთგულია;
2. ხალხი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ განუსაზღვრავს თავისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ (ამჟამად ისინი საკმაოდ ბევრნი არიან);
3. ხალხი, რომლის მოქმედებაც საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული.

ცნება “პატრიოტი“ ადამიანს ახასიათებს არა ეროვნული ნიშნის, არამედ სამშობლოსადმი მისი დამოკიდებულების მიხედვით. ამიტომ სანამ ადამიანი მოისურვებს გაიგოს სიტყვა “პატრიოტი“ ჭეშმარიტი არსი, მან საფუძვლიანად უნდა გაიაზროს, რა არის მისთვის სამშობლო, რას თვლის იგი მამულად, ვინ არის მისთვის თანამემამულე და ვისთვის არის იგი თანამემამულე. პატრიოტიზმი ეფუძნება სიყვარულისა და ერთგულების ღრმა გრძნობას ქვეყნისადმი, რომელსაც ადამიანი სამშობლოდ თვლის; ასეთი პატრიოტიზმი, “სოციალისტური პატრიოტიზმისგან“ განსხვავებით, არის არა დროებითი, არამედ მარადიული და დამოკიდებული არ არის არც საზოგადოებრივ ფორმაციაზე, არც მმართველობის რეჟიმზე.

- ეროვნული თანხმობის აუცილებლობის მოწოდებით, უმთავრესად, არაქართველ ეროვნებათა წარმომადგენლებს მიმართავთ. რა ელით მათ მომავალში? თქვენ საუბრობთ ე.წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თანხმობის აუცილებლობაზე. რა ადგილს დაიკავებენ ამ მოძრაობაში რესპუბლიკის მოსახლეობის არაქართული ნაწილის წარმომადგენლები და ვისი ინტერესები უნდა დაიცვან?

- ვიდაცას ძალიან სურს, საქართველო ორ ბანაკად დაიყოს და ხმარობენ ასეთ სიტყვათშეხამებებს: “არაქართველი მოსახლეობა”, “რუსულენოვანი მოსახლეობა” და ა.შ. ისინი, თავისი არსით, ენათესავენ გაერთიანებს: “საბჭოთა ხალხი”, “ხალხის მტერი” და სხვა. არაერთი ქვეყნის მმართველი წრეები, საკუთარი ძალაუფლების გასაძლიერებლად, სწორედ ამგვარად ცდილობდნენ საზოგადოებრივი ორგანიზმის დანაწევრებას, როცა ხელოვნურად ქმნიდნენ კონფორტაციას ერთი და იმავე სხეულის ნაწილებს შორის. თანაც, ამგვარი დანაწევრების დროს, სისხლს ღვრიდნენ ის უბრალო ადამიანები, რომლებიც ბარიკადებზე იდგნენ და არა — ისინი, რომლებიც ამ პროცესებს მართავდნენ. უნებურად გვახსენდება ერთი ფილოსოფოსის ნათქვამი: “ცოცხალი ორგანიზმი, მთელი თავისი სირთულითა და მრავალფეროვანი ცალკეული ნაწილებით, გაცილებით უფრო მაგარი და მყარია, ვიდრე ქარის მიერ გაფანტული ერთი მუჭა ქვიშა”; ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც წარმოდგენს რთულ ორგანიზმს, რომელიც ცალკეული ორგანოების მეშვეობით ცოცხლობს. თავის მხრივ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოადგენს სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის ერთერთ ნაწილს, კერძოდ კი — გუფს. ეს არის საქართველოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი. შესაბამისად, ადგილს, რომელსაც მომავალში დაიკავებს რესპუბლიკის მოქალაქე, განაპირობებს ამ მოძრაობის რომელიმე შემადგენელი ნაწილისადმი ამ მოქალაქის დამოკიდებულება. ნებისმიერ შემთხვევაში, ის უნდა ემსახუროს იმ საზოგადოების ინტერესებს, რომელსაც იგი წარმოადგენს. ამის საუკეთესო მაგალითად საქართველოს ისტორია გამოგვადგება. ქვეყნის მომავალი სულერთი იქნება მისთვის, ვისთვისაც სულერთია აწმყო და ამ მომავლისთვის ჩვენვე უნდა ვიბრძოლოთ ერთად, გამომდინარე ჩვენი წინაპრების ხსოვნის, ხალხისადმი სიყვარულისა და სამშობლოსადმი მოვალეობიდან.

- ამგვარი თანხმობა ხომ არ მიიყვანს ამ მიწაზე ოდითგან მცხოვრებ ხალხებს საკუთარი კულტურის, ენისა და ტრადიციების დაღიწყებამდე?
- საქართველოს მრავალჭირგამოვლილი ისტორიის განმავლობაში, ქართველ ხალხთან ერთად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებმაც დღემდე შემონახეს თავიანთი ეროვნული “მე” და ეროვნული ფსიქოლოგია. ბევრი ბერძენი ცხოვრობს სსრკ-ს ტერიტორიაზე, მაგრამ ბერძნული სკოლები მხოლოდ საქართველოში არსებობს. არცთუ ცოტა ქურთი ცხოვრობს საბჭოთა კავშირში; ქურთულ ეროვნულ ფოლკლორს კი მხოლოდ საქართველოში აქცევენ ყურადღებას. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია. დღესაც უნდა ვიზრუნოთ ყველა ეროვნების კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებაზე. თუმცა, რომელ განვითარებაზე შეიძლება ვისაუბროთ, თუ ბოლომდე არ გავაცნობიერეთ, რომ ეროვნული თანხმობის გარეშე, შეუძლებელია რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული განვითარება. ყველა ადამიანი უნდა ზრუნავდეს არა იმაზე, რომ დამოუკიდებლობის მიღწევის ურთულეს პროცესში მხოლოდ სათავისო სარგებელი მიიღოს, არამედ ყველაფერი გაიღოს იმისთვის, რომ ამ პროცესმა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს.
- ეროვნული მოძრაობის იდეისგან არაქართველების განცალკევების მიზეზებზე მსჯელობისას ერთერთ მთავარ არგუმენტად მოგაქვთ სუსტი ინფორმირებულობა, ქართული ენის არცოდნა. როგორ აფასებთ ბინის გაცვლაზე არაქართველებისთვის დროის გაჭიანურებისა და უარის თქმის ფაქტებს? ან, უარის თქმას თადარიგში გადაყვანილ სამხედრო მოსამსახურეთა საკუთარ ბინაში ჩაწერაზე? როგორია თქვენი დამოკიდებულება ლოზუნგისადმი, “საქართველო ქართველებისთვის“, რაც ზოგიერთმა პოლიტიკურმა ფორმირებამ წამოსწია?
- ამ განცალკევების პროცესის ღრმა მიზეზებზე შეიძლება მხოლოდ ვარაუდით ვისაუბროთ; მაგრამ ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის მრავალ მცხოვრებს არ შეუძლია, ერთმანეთისგან გაარჩიოს სოციალ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ესეც რეალობაა. დღესდღეობით, მთელი სახელმწიფო აპარატი მუშაობს იმაზე, რომ დემოკრატიული მოძრაობა ხალხის

ფართო მასებისგან დააშოროს. ამ აპარატს ყველაფერზე მონოპოლია აქვს დაწესებული. ხალხი კი დაბნეულია, არ იცის – ვის გაჰყვეს. “საჯაროობა“, ეს არის ხელოვნურად მართული ინფორმაცია. მოსახლეობა ნაკლებად არის ინფორმირებული მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენების შესახებ. არაინფორმირებულობას ემატება ქართული ენის უცოდინრობაც. ეჭვგარეშეა, ეს პროცესი “რუსიფიკაციისა” და “სოვეტიზაციის” მრავალწლიანი პროცესის შედეგად მომდინარეობს. რუსული, მსოფლიო ლიტერატურის გენიოსთა ენა, ორი საუკუნის განმავლობაში იმპერიის ხელში იარაღს წარმოადგენდა. “სოვეტიზაციის” პერიოდში მან თავის აპოგეას 1978 წელს მიაღწია, როცა მცდელობა იყო, ძირში მოეკვეთათ ქართული ენა. ასეთი “გალათინება” არ ახსოვს არც რომის იმპერიას, არც ცეზარის იმპერიას — ყველა ხალხს ეძლეოდა ენის, ყოფ–ცხოვრებისა და რელიგიის თავისუფლება. ერთერთი ცნობილი საბჭოთა მეცნიერი, საღმკოვი წერს: “ენების ფუნქციონალური შესაძლებლობები არაერთგვაროვანია, ისინი ავტომატური და მექანიკური საწარმოო საშუალებების ანალოგიურია. რუსულ ენაზე გადასვლა კავიდან ტრაქტორზე გადასვლას ჰგავს.” ასეთი მექანიკურ–ცხოველურ–მომხმარებლური მეთოდებით ყველაფრის ერთ, საერთო მნიშვნელზე დაყვანას ცდილობდნენ იმპერიალისტები და არა — რუსი ხალხი. დღესდღეობით საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული და რესპუბლიკის ნებისმიერი მოქალაქის მოვალეობაა, იცოდეს ეს ენა. ხალხი ცოცხალია, თუ ამ ხალხის ენაზე ერთი ადამიანი მაინც ლაპარაკობს. როდესაც ენის არსებობას ეშუქებიან, ამით ეშუქებიან ერის არსებობასაც. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძირითადი უნდა იყოს სწორედ ქართული ენა, რადგან იგი შეესაბამება ამ ქვეყნის ისტორიას, კულტურას, ტრადიციას, ჩვეულებებსა და მის ბუნებას.

რა თქმა უნდა, ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ბინა. საერთოდ კი, მოქალაქეთა უფლებებზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა განისაზღვრება რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსი. როცა არაქართველს უარს ეუბნებიან ბინის გაცვლაზე, აქაც ვხედავ ბიუროკრატიული აპარატის კიდევ ერთ გამოვლინებას. იგი ცდილობს, უკმაყოფილება გააღვივოს არაქართველებს შორის, მიმართოს იგი ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. გასაგებია ის ფაქტიც, რატომ მიაღწია ამ “გაჭიანურებებმა” თავის აპოგეას წინასაარჩევნო კამპანიის დროს,

როცა დემოკრატიულ ძალებს არჩევნებში გამარჯვების აშკარა შანსი ჰქონდათ.

ლოზუნგი “საქართველო ქართველებისთვის” არ შეიძლება, ეროვნული ლოზუნგი იყოს, რამეთუ იგი თვით ქართველის ფსიქოლოგიას არ შეესაბამება. თანაც, იგი მასებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ განაწყობს. იმ პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წესდებებში, რომლებთანაც ჩვენს ასოციაციას საქმიანი კონტაქტები აქვს, წერია, რომ ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის მიუხედავად. ეს მხოლოდ წესდებებში როდია მოცემული: ამ ორგანიზაციების მუშაობაში საკმაოდ აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ეს კარგად არის გამოხატული როგორც საქართველოს სახალხო ფრონტში, ასევე რუსთაველის საზოგადოებაში. საქართველოში პოლიტიკური ორგანიზაციები მრავლად არის, მაგრამ სოციოლოგების მონაცემებით, მათ შორის ყველაზე პოპულარულია შოთა რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს სახალხო ფრონტი და ჰელსინკის კავშირი. რაც შეეხება დანარჩენებს, მათი პოპულარობა მაღალია, მაგრამ არა — სტაბილური, იგი სისტემატურად იცვლება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ე.წ. “არაქართველ მოსახლეობაში” საკმაოდ პოპულარულია სარგებლობს ეკოლოგიური ასოციაცია და “მწვანეთა პარტია”.

- მსახურობდით თუ არა ჯარში და როგორია თქვენი დამოკიდებულება მის მიმართ, როგორც სახელმწიფოს დაცვის ინსტიტუტისადმი? იმსახურებენ თუ არა მომავალ ეროვნულ ჯარში რესპუბლიკაში მცხოვრები არაძირითადი მოსახლეობის წარმომადგენლები?

- 1987-დან 1989 წლის ჩათვლით, ქალაქ ვოლოგდასთან განლაგებულ საინჟინრო-სამშენებლო ნაწილში ვმსახურობდი. მართლაც, ჯარი — ეს არის სახელმწიფო დაცვის ინსტიტუტი. რამდენიმე ნეიტრალური სახელმწიფოც კი არ არსებობს მის გარეშე. მეტიც, ჯარი, გარკვეულწილად წარმოადგენს სახელმწიფოს სახეს. თუმცადა, ჩემი აზრით, ჯარი უნდა იყოს ეროვნული, დაიცვას რესპუბლიკის სუვერენიტეტი, რაც არ გამორიცხავს საკავშირო სამხედრო ფორმირებების შექმნასაც, რომლებიც დაიცავენ თანაბარუფლებიანი

სუვერენული სახელმწიფოების ბლოკის ინტერესებს, და არა — თანაბარუფლებიანი, მაგრამ არასუვერენული რესპუბლიკების ინტერესებს, მით უმეტეს, იმპერიულ ინტერესებს. მინდა აღვნიშნო, რომ ჯარმა ჟანდარმერიის ფუნქციები არ უნდა შეასრულოს; ასევე, მასში არ უნდა იყოს პარტიული ძალმომრეობა. ჯარში ყველაზე მეტად დაცული უნდა იყოს ადამიანის უფლებები; სამხედრო მოსამსახურეებს, წოდების განურჩევლად, სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ. მათი ოჯახები მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი, განსაკუთრებით კი — ბავშვები. ეროვნული ჯარი უნდა დაკომპლექტდეს მხოლოდ რესპუბლიკის მოქალაქეებით, განურჩევლად მათი ეროვნული წარმოშობისა.


- “ზარია ვოსტოკასთვის” მიცემულ ინტერვიუში არაერთხელ ახსენებდით რუსულენოვან მოსახლეობაზე “რეაქციული” “მესამე ძალის” ანუ “ბნელი ძალების” გაელენას“. რას გულისხმობდით ამ სიტყვებში?
- “მესამე ძალაში” მოიაზრება რეაქციული ძალების ის კონგლომერატი, რომელიც ჰემმარიტი დემოკრატიისა და ერის თვითგამორკვევის წინააღმდეგ მოქმედებს. მას შეუძლია საკმაოდ ხშირად იცვალოს შემადგენლობა და ტყავი.“

პირველი დიდი კონფერენცია

1989 წლის ნოემბერ–დეკემბერში ასოციაციამ საფუძვლიანად დაამუშავა სამომავლო მოქმედების გეგმა, რაც საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ ჩაბმას ითვალისწინებდა. ერთი თვის შემდეგ, 1990 წლის 22 იანვარს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე ალექსანდრე რუსეცკიმ ეს გეგმა იქ შეკრებილ 30–ზე მეტი პარტიისა თუ საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენლებს გააცნო. გეგმა შემდეგ პუნქტებად იყოფოდა:

- 1) საქართველოს ეროვნული მოძრაობა უნდა გადაიზარდოს სრულიად საქართველოს სახალხო მოძრაობაში;

- 2) აუცილებელია, საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ ჯგუფთან დამყარდეს პირდაპირი კონტაქტი, დიფერენცირებული მიდგომით;
- 3) განხილულ იქნას ეთნოკონფლიქტების ჩასახვისა და განვითარების პირობები;
- 4) უნდა შეექმნათ ქართული სახელმწიფოს ყოველმხრივი განვითარების მოქნილი თეორია;
- 5) ქართული ენის დამკვიდრება უნდა მოხდეს პერმანენტულად და არა — ერთი ხელის დაკვრით;
- 6) საჭიროა, დაიძლიოს არაქართველების პასიურობა, რომლებსაც ვერ გაუგიათ, რომელ ძალას მიემხრნენ;
- 7) საჭიროა, ანტისადეზინფორმაციო საერთო ცენტრის შექმნა, რაც ხელს შეუწყობდა სწორი ინფორმაციის გავრცელებას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე — მის გარეთ;
- 8) აუცილებელია დიდი ძალისხმევა, საერთო-კავკასიური იდეის ასაღორძინებლად.



1990 წლის 23 იანვარს, გაზეთ “თბილისში“, დაიბეჭდა თამარ ჩიქოვანის სტატია – “საჭიროა ერთობლივი მოქმედება“. იგი ეხებოდა ზემოთ აღნიშნულ კონფერენციას, რომელზეც შემდეგ საკითხებს განიხილავდნენ: საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, შიდა პოლიტიკური მდგომარეობა და ა.შ. ასე რომ, ეს კონფერენცია იყო ეროვნულ ძალთა თავყრილობა, რომელსაც ქვეყნის მომავალი უნდა განესაზღვრა.

” - ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემა ჩვენ მიგვაჩნია რგოლად იმ პრობლემათა ჯაჭვში, რომლებიც უნდა გადაეჭრათ საქართველოს სახელმწიფო ებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე, რა თქმა უნდა - ძალზე მნიშვნელოვან რგოლად. ცხადია, ცნებების: “ქართველისა” და “არაქართველის” დაპირისპირება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, ადამიანთა დამოკიდებულების მიუხედავად, აფერხებს თვით მოძრაობას რესპუბლიკაში, სადაც 90-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ. ამიტომ ეროვნული თანხმობის მიღწევა დემოკრატიული ძალების ინტერესებში შედის, რომლისკენ მიმავალი გზაც ახლანდელ კონფერენციას უნდა დაესახა. პრობლემას ღრმა შესწავლა სჭირდება. ამისათვის, ვფიქრობ, მიზანშეწონილია, შეიქმნას კომისია; მასში უნდა შევიდნენ ყველა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. ეროვნებათაშორისი უთანხმოების აღმოფხვრის გზად ეროვნულ-კულტურული და პუბლიცისტური კავშირურთიერთობა





მიგვანჩია. ჩვენი აზრით, საქართველოში უნდა შეიქმნას ეროვნულ-კულტურულ საზოგადოებათა ერთიანი ცენტრი. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე მიმდინარეობს. ახლახან, “ეროვნული თანხმობის” ასოციაციის მხარდაჭერით ამოქმედდა ცენტრი, რომელშიც შევიდა რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ეროვნული გაერთიანება. ჩვენთვის ახლობელია საერთო-კავკასიური სახლის მშენიერი იდეაც, რომელიც მწვანეთა პარტიამ წამოაყენა,” – განუცხადა ალექსანდრე რუსეცკიმ “საქინფორმის” კორესპონდენტს. “ეროვნული თანხმობის” ასოციაციისთვის ეს იყო პირველი დიდი კონფერენცია. ფაქტობრივად, მას შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, არ ჩატარებულა არცერთი ეროვნული მნიშვნელობის შეხვედრა, რომელშიც ასოციაციას მონაწილეობა არ მიეღო.

“ეთნიკური ნაღმის” წინააღმდეგ...

ასოციაციამ თავიდანვე უმთავრეს მიზნად დაისახა ე.წ. “ეთნიკური ნაღმის” წინააღმდეგ ბრძოლა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნამდე მუსირებდა აზრი, თითქოს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მხოლოდ ქართველების მოვალეობა იყო. შედეგად, საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები თანდათან “თამაშგარე” მდგომარეობაში რჩებოდნენ. ამ პროცესის სიმწვავე რესპუბლიკურ პრესაში 1989 წლის 16 აგვისტოს აშკარად გაცხადდა, როცა გაზეთ “კომუნისტში” დაიბეჭდა ქუთაისის სპორტკომბინატის დირექტორ ვალერი ბურლაკოვის წერილი, “ვინ ვინ არის“. აღნიშნული პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად, ვფიქრობთ, საჭიროა ამ პუბლიკაციიდან რამდენიმე ამონარიდის მოტანა. კერძოდ, ბურლაკოვი წერდა:

“დღეს საქართველო სამართლიანობის საწყისებზე ითხოვს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლის ქართველი ხალხი და ამ აზრს ანგარიში უნდა გაეწიოს.

ვიდაცას ხელს აძლევს დაძაბულობა, პროვოკაციულად აღვივებს ნაციონალურ შეუღლს, ცდილობს დააპირისპიროს ხალხი და რესპუბლიკაში მცხოვრები ეროვნებანი.

მე ვეკითხები ყველა არაქართული წარმოშობის ადამიანს, ვინც უნდა იყოს იგი, ებრაელი, უკრაინელი, რუსი თუ სომეხი, მცხოვრები საქართველოში: სამართლიანია თუ არა, რომ, ფაქტობრივად, განზე ვდგავართ მოვლენებისგან?

დღეს, როცა საქართველოს უჭირს, როცა ცდილობენ, ქართველი ხალხი დაადანაშაულონ ნაციონალიზმსა და შოვინიზმში, გვერდზე ვდგავართ და ვუცდით: ვინ – ვის? როგორ ფიქრობთ, როცა დადგება საკითხი საქართველოს მოქალაქეობრიობისა, გვექნება თუ არა მისი მიღების მორალური უფლება?

საჭიროა, შეიქმნას არაქართველთა საზოგადოება, რომელიც იდეოლოგიურ ბრძოლას გაშლის ქართველების პატიოსანი და უანგარო დახმარებისთვის.”

ბურღაკოვი ერთერთი პირველი იყო, ვინც საჯაროდ დაუპირისპირდა “ეთნიკურ ნაღმს“, რომელიც, შოვინიზმსა და აგრესიულ ნაციონალიზმთან ერთად, საქართველოში სეპარატიზმისა და ეთნოკრიზისების გაღვივებასაც ისახავდა მიზნად. ამ “ნაღმის” ამოქმედება აშკარად სცადეს 1990 წელს, როცა ქართველებისა და ეროვნულ უმცირესობათა დაპირისპირების რეალური საფრთხე შეიქმნა; როგორც ჩანს, მავანნი და მავანნი საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ჯერ კიდევ ვერ შეგუებოდნენ. “ეთნიკური ნაღმი” წარმოადგენდა ერთერთ ბოლო გაბრძოლებას, რათა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებელი განვითარებისთვის ხელი შეეშალათ.

აზორიგანობის თემა და „ურაპატრიოტიზმი“

ფაქტობრივად, “ეთნიკური ნაღმის” ცეცხლს ზოგი “ურაპატრიოტი” ქართველიც გულმოდგინედ ასხამდა ნავთს: “მაშინ, როცა საქართველო ის–ის იყო გამოვიდა საბჭოთა კავშირიდან, ძალიან სასიფათო მოვლენებს წარმოადგენდა ნაციონალიზმი და შოვინიზმი. ჩვენს თანამემამულეთა გარკვეული ნაწილი ხაზგასმით აცხადებდა, რომ საქართველოს აბორიგენ მოსახლეობას ქართველები შეადგენენ და ეს ქვეყანა, შესაბამისად, ჩვენი ასაშენებელი იყო, ხოლო სხვა ეროვნების წარმომადგენლებს ამ პროცესში ხელი არ უნდა შეეშალათ. ამავე დროს, ძალზე მოღურად იქცა მოსახლეობის დაყოფა ქართველებად და არაქართველებად, რაც, რა თქმა უნდა, მეტად სერიოზული შეცდომა იყო. ჩვენი ასოციაცია თავიდანვე ამის წინააღმდეგ გამოვიდა“, – იხსენებს “ეროვნული თანხმობის” ასოციაციის ერთერთი ლიდერი მალხაზ რამიშვილი.

“ინტერფრონტი” – მორიგი პროვოკაცია

ცნობილ პრინციპს “გათიშე და იბატონე“, სპეც.სამსახურები ეროვნული მოძრაობის წლებშიც ხშირად მიმართავდნენ. ამის

დასტური იყო თბილისში ე.წ. “ინტერფრონტის” შექმნის მცდელობა: 1990 წლის გაზაფხულზე, დედაქალაქში ასეთი შინაარსის შემცველი ფურცლები გავრცელდა: “არაქართველები, ასე გვიწოდებენ ჩვენ, საქართველოში მცხოვრებ სომხებს, აზერბაიჯანელებს რუსებს, და სხვებს ქართველი ნაციონალ-შოვინისტები, რომლებიც “არაქართველს” “არაადამიანის” ცნებასთან აიგივებენ. ქართველები ცდილობენ, წაგვართვან სიამაყის, ღირსების გრძნობა. გვაიძულებენ, უარი ვთქვათ საკუთარ ენაზე, ტრადიციებზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე, აღმსარებლობასა და ეროვნებაზე. საქართველოს სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციები თუ “პარტიები” კოლონიზატორული “დაყავი და იბატონეს” პრინციპით ცდილობენ ჩვენს დამონებასა და დაკაბალებას. უბედურებაში თანაზიარო ამხანაგებო! გაერთიანდით საქართველოს სსრ ინტერფრონტის რიგებში! მხოლოდ ინტერმოდრობაა ჩვენი შეიღების უღრუბლო მომავლის გარანტი” და ა.შ. იქვე აღნიშნული იყო, რომ 1990 წლის 9 მაისს, 14 საათზე, გამარჯვების პარკში ჩატარდებოდა მიტინგი, სადაც ჩამოყალიბდებოდა საქართველოს ინტერფრონტი. ამ “მზუნებარე მოწოდების” შემცველ ფურცლებს კი ხელს აწერდა საორგანიზაციო კომიტეტი.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ რაც თბილისში ვერ მოახერხეს, სოხუმში წარმატებით განახორციელეს: ჩამოაყალიბეს ინტერფრონტი, რომელსაც სათავეში იური ვორონოვი ჩაუდგა.

ეროვნული თანხმობა თუ ინტერფრონტი?

ამ ფაქტს პრესაში ასოციაცია “ეროვნული თანხმობის” მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. ფურცლების გავრცელებისთანავე, ასოციაციის კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო და პრესაში გამოაქვეყნა: “9 აპრილის მოვლენებიდან ერთი წლის თავზე, რესპუბლიკაში ვრცელდება ანონიმური ფურცლები, რომლის ტექსტიც მიზნად ისახავს იმ ადამიანთა შეურაცხყოფას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ და საქართველოს საკუთარ სამშობლოდ თვლიან. ის განმსჭვალულია საზოგადოების ეროვნული ნიშნით დაყოფის იდეით და ქმნის ორ ალტერნატიულ სახეს — “ქართველი” და “არაქართველი”; მოსახლეობას ჰყოფს

ეროვნულ-კლასობრივ, სოციალურ ჯგუფებად. ეს ხდება მაშინ, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ქართველების გვერდით დგებიან რუსები და ბერძნები, სომხები და ებრაელები, აზერბაიჯანელები და ოსები, ქურთები და ასირიელები, როცა ქართველები და აფხაზები ერთობლივად მართავენ საპროტესტო აქციებს, როცა ხალხმა დაიწყო იმის გაცნობიერება, რომ მათი გადარჩენა ერთობაშია. თუმცა, რეაქციული ძალები ამ პროცესის ჩახშობას ცდილობენ“.

ამ რეზოლუციასთან ერთად, პრესაში ასეთი ინფორმაციაც გამოქვეყნდა:

“ასოციაცია “ეროვნული თანხმობის” პრეზიდენტმა ალექსანდრე რუსეცკიმ “საქინფორმის” კორესპონდენტს განუცხადა, რომ ბოლო დროს ეს ფურცლები ერთადერთი მცდელობა არაა, რესპუბლიკის მოსახლეობაში ეროვნული განხეთქილება ჩამოაგდოს“.

საბედნიეროდ, რეაქციულ ძალებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ! პროვოკაციულმა მოწოდებამ, რომლის ავტორებიც რატომღაც საკუთარ ვინაობას არ ამხელდნენ, ეროვნულ უმცირესობათა არაერთი წარმომადგენლის სამართლიანი გულისწყერობა გამოიწვია. მათ მონაწილეობა მიიღეს 22 აპრილს ვაკის პარკში გამართულ მიტინგზე და თანამოაზრეთა სახელით გაზეთ “ზარია ვოსტოკაში” წერილი გამოაქვეყნეს, რომლითაც აღნიშნული პროვოკაციის მცდელობას სასტიკად გამოხდნენ. ყოველივე ეს მოწმობს იმ სერიოზულ წინააღმდეგობაზე, რასაც ასოციაცია და მის ირგვლივ დარაზმული ადამიანები ეროვნებათა დაპირისპირების ნებისმიერ მცდელობას უწევდნენ.

ქონბრუნის შენახვა კანონის მომზადება

ცოტა მოგვიანებით ასოციაციას “საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია” (“სეთა“) ეწოდა. 1990 წლის 23-25 მაისს იგი მონაწილეობდა სპორტის სასახლეში გამართულ საქართველოს ეროვნულ ყრილობაში. აქ წარმოდგენილი იყო 23 პოლიტიკური პარტია და 28 საზოგადოებრივი გაერთიანება. ყრილობამ მიიღო და დამტკიცა კანონი, საქართველოს ეროვნული

კონგრესის შესახებ, განსაზღვრა კონგრესის ფუნქციები და აირჩია ცენტრალური საარჩევნო კომისია.

იმავე წლის მაისის მიწურულს, ასოციაციის მიერ გამართულ კრებაზე შეიმუშავეს საერთო-ეროვნული მოწოდების ტექსტი, რომელიც ნებისმიერ მსურველს სთავაზობდა: მონაწილეობა მიეღოთ ივლისში დაგეგმილი კონფერენციის მუშაობაში, რომელსაც ეროვნული საკითხის შესახებ ერთიანი კონცეფცია უნდა მოემზადებინა. ამას გარდა, კონფერენციაზე რესპუბლიკის ეროვნული განვითარების საერთო კონცეფციის შემუშავებაც იგეგმებოდა.

ბზარი ეროვნულ მოძრაობაში

ამგვარი მოწოდებისა და კონცეფციის აუცილებლობა ერთმა, იმ დროისთვის საკმაოდ სერიოზულმა პრობლემამ განაპირობა: ეროვნული ძალების გაერთიანების მიუხედავად, ეროვნული კონგრესის საკითხთან დაკავშირებით, პარტიებსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებს შორის უკვე იგრძნობოდა განხეთქილება. შესაძლოა, ამას ეროვნულ ძალებს შორის სერიოზული დაპირისპირება გამოეწვია. “სეთას” წარმომადგენლები გრძნობდნენ, რომ საჭირო იყო ამ ფაქტის პრევენცია.

1990 წლის 19 ივნისს გაზეთ “ახალგაზრდა ივერიელში” დაიბეჭდა ალექსანდრე რუსეცკის წერილი, სათაურით “განხეთქილება თუ გზა ერთიანობისკენ“. მასში ვკითხულობთ: “მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის ურთიერთდამოკიდებულება გამწვავებულია, გვინდა ვირწმუნოთ, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც ამჟამად გარდამტეხი მომენტი დაუდგა, განხეთქილების საშიშროება შეიქმნა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში შექმნილი “განხეთქილების” მიზეზი, ასე რომ გაახარა რეაქციონერები, ჩემი აზრით, ზერედე, ზედაპირული გამოსახულებაა გაერთიანების ფორმის ძიების უფრო სიღრმეული პროცესისა, რომელსაც გვიკარნახებს არა რომელიღაც პარტია, ანდა რომელიმე ლიდერი, არამედ სამართლიანი ისტორიული აუცილებლობა. სასურველია, რომ ეს პროცესი მიმდინარეობდეს რაც შეიძლება

უმტკივნეულოდ, რასაც მეტად ართულებს ჯეროვანი პოლიტიკური კულტურის უქონლობაც. ბევრს ჯერაც ვერ გაუცნობიერებია ერთი უბრალო ჭეშმარიტება: პოლიტიკური კულტურა არის ზოგად-ეროვნული კულტურის ნაწილი და მისდამი აგდებული დამოკიდებულება, სხვა რომ არა ვთქვათ რა, უტაქტობაა ქართველი ერის მდიდარი კულტურის მიმართ. ამა თუ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა არაეთიკური საქციელი სახელს უტეხს, უწინარეს ყოვლისა, არა იმ დაჯგუფებებს, რომლებსაც ისინი წარმომადგენენ, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, მთელ სახალხო-დემოკრატიულ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში.

ურთიერთგაგების იმედი შეიძლება გქონდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ თავად სცემ პატივს თანამოსაუბრის აზრს. მხოლოდ მეორე მხარის მიერ ჩვენგან განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლების აბსოლუტური აღიარება იხსნის საქართველოს კონფორტაციისგან, გაგვიადვილებს ჩვენი საერთო მიზნის მიღწევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ყოველმა მცხოვრებმა, მისი ეროვნული თუ სხვა განმასხვავებელი ნიშნების მიუხედავად, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს კონსოლიდაციის საქმეში. მხოლოდ გაერთიანებული ძალისხმევით გადავწყვეტთ დამოუკიდებელი, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების ამოცანას. ამჟამად ჩვენი ასოციაციის წევრები ამუშავებენ საზოგადოებრივი ხელშეკრულების პროექტს, რომლის დადება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გახდეს ერთიანობის გზაზე. ჩვენ ფართო განხილვისთვის გამოგვაქვს “ხელშეკრულების” პროექტის ზოგიერთი მუხლი. გთხოვთ, თქვენი შენიშვნები და დამატებები გამოგვიგზავნოთ“.

ხელშეკრულების პროექტის მნიშვნელობა

იმავე წერილში აღნიშნული იყო “ეროვნული თანხმობის” ასოციაციის რედაქციის მისამართი და საზოგადოებრივი განხილვისთვის განკუთვნილი “ხელშეკრულების” რამდენიმე მუხლი:

- 1) ხელშეკრულების მონაწილეებს მიანნიათ, რომ ამ ეტაპზე სახელწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად ქართველი ხალხის ბრძოლა კანონიერი და სამართლიანია;
- 2) ხელშეკრულების მონაწილენი ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმირებას მოუწოდებენ დაამყარონ პატივისმცემლური და ტაქტიანი ურთიერთობა;
- 3) ხელშეკრულების მონაწილენი აუცილებლად მიიხნევენ, თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი კონფლიქტი (როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმირებებს, ისე სხვადასხვა სოციალური თუ ეროვნული ჯგუფების წარმომადგენლებს შორის). ითვალისწინებენ რა “მხარეების” ზოგიერთ უთანხმოებას, ხელშეკრულების მონაწილეებს დასაშვებად მიანნიათ ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელთა მეშვეობით შეიძლება თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტური სიტუაციები, რათა გამოიტანონ გადაწყვეტილება, რომელიც ყველა “მხარეს” დააკმაყოფილებს. ხელშეკრულების მონაწილენი იზიარებენ მოსაზრებას, რომ კონფლიქტის დაუშვებლობის ან გადაწყვეტისთვის აუცილებელია, ერთმანეთისგან განვანსხვავებდეთ გარეგნულ საბაბს და მისი წარმოშობის ჭეშმარიტ მიზეზს, ვითვალისწინებდეთ “მხარეების” საერთო ინტერესებს, რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესებს;
- 4) ხელშეკრულების მონაწილენი აღიარებენ, რომ დაუშვებელია საჯარო შეურაცხყოფა, “იარლიყების მიწებება” ამა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმირებების, მათი წარმომადგენლებისა თუ ლიდერებისთვის;
- 5) ხელშეკრულების მონაწილეებს კარგად ესმით, რომ ამჟამად რესპუბლიკის მცხოვრებნი დაყოფილნი არიან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი თავიანთი დამოკიდებულების მიხედვით;
- 6) ხელშეკრულების მონაწილენი მოუწოდებენ რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენლებს, პატივი სცენ წინაპართა ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, საკაცობრიო ღირებულებებსა და არ აჰყენენ პროვოკაციებს, რომლებსაც

აწყობენ რეაქციული ძალები, ამასთან მიიღონ აქტიური მონაწილეობა რესპუბლიკის სახალხო-დემოკრატიულ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში;

- 7) ხელშეკრულების მონაწილენი არ ცნობენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც ვიწროპარტიულ და პიროვნულ ინტერესებს საქართველოს სახალხო-დემოკრატიული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებზე მადლა აყენებენ და რესპუბლიკაში აგრცვლებენ დეზინფორმაციას, რომელიც მიზნად დაისახავს, სახელი გაუტეხოს ამა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმირების წევრებს, მთლიანად მოძრაობას;
- 8) ხელშეკრულების მონაწილეებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახალხო-დემოკრატიული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე, მთელი ხალხის წინაშე“. ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ხელშეკრულება წარმოადგენდა პოლიტიკური ეთიკის ერთ-ერთ პირველ დოკუმენტს.

სრუ სტერეოტიპების დასახარვა...

პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებს შორის თანხმობის დამყარებასთან ერთად, ასოციაცია აქტიურად იღვწოდა ეროვნებათა შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით, 1990 წლის სექტემბრის ბოლოს, “სეთას” ეგიდით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია, თემაზე: “ეროვნებათაშორისი პრობლემა საქართველოში და მისი გადაჭრის გზები“. პოლიტიკურ ბლოკთან – “დემოკრატიული არჩევნები საქართველოსთვის“, პონტოელი ბერძნების თბილისის საზოგადოებასა და ქურთების რესპუბლიკურ ასოციაცია “რონაისთან” ერთად, “სეთამ” განიხილა საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხები: ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ქართული ენის შესწავლა, რესპუბლიკის ყველა მოქალაქის უფლებათა ერთიანობა, საერთო-კავკასიური სახლის შექმნის იდეა და ა.შ.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ, ერთ-ერთ ჟურნალისტთან საუბრისას, ალექსანდრე რუსეცკიმ განაცხადა: “პოლიტიკური პროგნოზების გაკეთებისას, ძნელია, ოპტიმისტი იყო. თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოში, ერთაშორის ურთიერთობებში, სიტუაცია სტაბილური ხდება. **ინგრევა ცრუ სტერეოტიპები, რომელთაც ჩვენს ქვეყანაში არასდროს ჰქონდა მყარი ფუნდამენტი.** ჩვენ მოგუწოდებთ ყველა ეროვნების წარმომადგენლებს, გადალახონ ეთნიკური გაუცხოების კომპლექსი და გააცნობიერონ საკუთარი თავი საქართველოს პატრიოტებად. “საქართველოს პატრიოტის” ცნებაში არ უნდა ჩავდეთ ყალბი აზრი - არაქართველებთან მიმართებაში. სიტყვა “პატრიოტი” ხომ ადამიანს ახასიათებს არა მისი ეროვნული ნიშნის, არამედ სამშობლოსადმი მისი დამოკიდებულების მიხედვით. ამიტომ, თითოეულმა ჩვენგანმა კარგად უნდა გააცნობიეროს ამ ცნების ნამდვილი მნიშვნელობა.”

ეროვნული თანხმობის იდეას გააჩნდა არა მარტო მეტად საჭირობოროტო მნიშვნელობა, არამედ იგი ძალიან მომხიბლავიც იყო ზოგიერთი პოლიტიკური ძალისთვისაც. ისინი ამ სახელწოდებას შირმად იყენებდნენ, რათა დაეფარათ ხელისუფლებაში მოსვლის დიდი სურვილი. ესენი ძირითადად იყვნენ საქართველოს ინტელიგენციის, ასე ვთქვათ, გავლენიანი წარმომადგენლები, რომლებიც ჯერ კიდევ კომუნისტურ პერიოდში მთელი რიგი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. სხვათა შორის, მათთვის არც მედროვეობა იყო უცხო ხილი.

“სათა” და ვალერიან აღვაძის პარტია

1990 წლის 28 ოქტომბერი საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული თარიღია. ამ დღეს პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები. საამისოდ სერიოზულად ემზადებოდა არაერთი პარტია თუ საზოგადოებრივი გაერთიანება.

ამ პროცესს “სეთასთვის” მთლად მშვიდობიანად არ ჩაუვლია. წინასაარჩევნო ციებ-ცხელებასთან ერთად, ასოციაციას ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემა შეექმნა. ხმაურითა და ამბიციურობით ცნობილმა ვალერიან აღვაძემ 1990 წლის აგვისტოში, მხოლოდ და მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობისთვის,

პოლიტიკური პარტიის შექმნა დაიწყო. მან გარს შემოიკრიბა ინტელიგენციის ცნობილი, გავლენიანი წარმომადგენლები და ახალ ორგანიზაციას საკმაოდ უღერადი სახელწოდებაც მოუძებნა: “ეროვნული თანხმობის კავშირი“.

პარტიის დამფუძნებელ ყრილობამდე, ადვოკატს “სეთას” წარმომადგენლებმა უთხრეს, რომ “სეთას” სახელწოდების პირდაპირ გადაღება, პოლიტიკური თვალსაზრისით, არაკორექტული იყო. ადვოკატმა მათ განუცხადა, რომ “სეთას” შესახებ მანამდე არაფერი იცოდა. ამის გამო, თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა ზურაბ გოგუამ გაზეთ “ახალგაზრდა ივერიელში” გამოქვეყნებული წერილით (“ღმერთმა შეგინდოთ ანუ გაჩერდით მამებო!”) ადვოკატ სიცრუეში ამხილა.

“სეთა” ახალი პარტიის მიმართ, თავიდან, არ იყო უარყოფითად განწყობილი. უფრო მეტიც, ასოციაციის წარმომადგენლებს მათთან გაერთიანებაც კი სურდათ – ახალგაზრდული ფრთის სახით. თუმცა, “მაღალმა” ინტელიგენციამ “უწვევრულ ბიჭებთან” თანამშრომლობა არ იკადრა, რითაც, უდაოდ, ხაზი გაუსვა თავის პოლიტიკურ სიბეცეს და გადაჭარბებულ ამბიციებს.

იმავე პერიოდში “სეთას” ერთერთი ლიდერი მალხაზ რამიშვილი თავის საგაზეთო პუბლიკაციაში იტყვის: “ეროვნული თანხმობის დამფუძნებელ ყრილობაზე” ვალერიან ადვოკატმა განაცხადა: “გაზეთებში ჩვენი მიმართვის გამოქვეყნების შემდეგ შევიტყვეთ, რომ საქართველოში არსებობს “ეროვნული თანხმობის ასოციაცია“. მინდა, დიდი ბოდიშის მოხდით შევახსენო ბატონ ვალერიან ადვოკატს მოსკოვში ჩვენი შეხვედრის შესახებ: იქ ჩვენი ასოციაციის რუსულენოვანი გაზეთის მოსამზადებლად გახლდით. ბატონმა ვალერიანმა ფრიად მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია. შემდეგაც, ასოციაციის პრეზიდენტი ალექსანდრე რუსეცკი და ამ სტრიქონების ავტორი სახალხო ფრონტის ყრილობაზე პირადად შევხვდით ბატონ ვალერიანს და გავაცანით ჩვენი ასოციაციის მიერ მომზადებული დოკუმენტი — საზოგადოებრივი შეთანხმების პროექტი. ორივე შემთხვევაში, ჩვენ ვსაუბრობდით ორგანიზაციის სახელით. ასოციაციის გამგეობის წევრები მრავალჯერ გამოსულან რადიოთი, ტელევიზიით, ქართული და რუსულენოვანი გაზეთების ფურცლებზე. ამიტომ, გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, თითქოს ბატონ ვალერიან ადვოკატს

განცხადება, რომ არაფერი იცოდა ჩვენი ასოციაციის არსებობის შესახებ, სინამდვილეს არ შესაბამეა.“

წერილი, რომელიც ახალი კავშირის ყალბ სახეს ამხელდა, ასე მთავრდებოდა: “ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის წევრებს, ყველა პატიოსან და ღირსეულ ადამიანს მოგმართავთ რომენ როლანის სიტყვებით: “ის, ვისაც შეუძლია უმზერდეს უსამართლობას და არ ცდილობს, ებრძოლოს მას, არ შეიძლება იყოს არც ჭეშმარიტი შემოქმედი, არც — ჭეშმარიტი ადამიანი.” როგორც წერილიდანაც ჩანს, ახალ პარტიას ცოტა მოგვიანებით “ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი” უწოდეს.

რად არ ათქმევინა ალვასიმ “სეთას” წარმომადგენელს

პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე მისმა თავმჯდომარემ “სეთას” წარმომადგენელს სიტყვაში გამოსვლის საშუალება არ მისცა; მას შემდეგი განცხადება უნდა გაეკეთებინა:

“ბატონო თავმჯდომარე!

“საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია” არსებობს 1989 წლის 2 ნოემბრიდან. ასოციაციის მიზანია დამოუკიდებელი, სამართლებრივი, დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობა ეროვნული და ეროვნებათაშორისი თანხმობის გზით. თავისი მოღვაწეობის მანძილზე, ასოციაციას არაერთხელ მიუმართავს საქართველოს მოსახლეობისთვის პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებებით, სადაც ასოციაცია ითხოვდა თანადგომას თავის რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში. ამ მოწოდებებს ძირითადად ეხმაურებოდნენ სტუდენტები, ახალგაზრდობა და არცთუ ისე მაღალი რეგალიების მქონე ინტელიგენცია, განურჩევლად ეროვნებისა და ასაკისა. მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობისკენ პირდაპირ მოუწოდეთ მაღალი ავტორიტეტის მქონე სამეცნიერო-ტექნიკურ და შემოქმედებით ინტელიგენციას, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. დღეს მოწმენი გავხდებით საქართველოში ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის დაფუძნებისა იმ იდეებისა და პრინციპების საფუძველზე, რითაც მუშაობს ჩვენი ასოციაცია, ამასთანავე, ფაქტობრივად — იმავე

სახელწოდებით. გეჯერა აქ შეკრებილი საზოგადოების პოლიტიკური კულტურისა და ვიმედოვნებთ, რომ ყრილობა უფრო თვითკრიტიკულად განხილავს ამ ფაქტს. “ეროვნული თანხმობის” ასოციაცია კვლავ სიამოვნებით გაუღებს კარს თანხმობისა და თანამშრომლობის იდეების განხორციელების ჭეშმარიტ მოსურნეთ.“

დანახაული თუ წინასწარჩევნო რაქლანა?

1990 წლის 25 ოქტომბერს ვალერიან ადვადის საცხოვრებელ ბინაზე თავდასხმა მოხდა. ამ ფაქტს მას–მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა: “ვინ შეიძლება იყოს ამ თავზარდამცემი აქტის ჩამდენი? – ეს კითხვა დღეს მრავალ მითქმა–მოთქმას იწვევს. დაველოდოთ გამოძიებას; ის, დამნაშავესთან ერთად, ალბათ, დანაშაულის მოტივებსაც გამოააშკარავებს. ერთს კი დაბეჯითებით ვიტყვით: ცივილიზებული ერისათვის ასეთი აქტი ამაზრზენი და ყოველად მიუღებელია;– წერდა ერთერთი გაზეთი. თუმცა, “სეთა” ამ ინციდენტს საკმაოდ ცივი გონებით აღიქვამდა და ასეთ შეფასებას აძლევდა:

“საპროტესტო ნოტა

საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია პროტესტს გამოთქვამს, ა.წ. 25 ოქტომბერს მომხდარი ინციდენტის გამო. მხედველობაში გვაქვს სროლა, რომელიც “ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის” ლიდერის ბინაზე ატყდა. რესპუბლიკის მომავალი მთავრობისგან მოვითხოვთ, მიიღოს მკაცრი ზომები, რესპუბლიკის მოსახლეობის უშიშროების დასაცავად.

დღევანდელი მთავრობისგან მოვითხოვთ, უზრუნველყოს არჩევნების ნორმალურად ჩატარება, რაზეც პასუხისმგებლობა მთლიანად მას დაეკისრება. შემდეგ “სეთა” აღნიშნავს: ასეთ ინციდენტებს სისტემატური ხასიათი აქვს და მათი მიზანია, ამა თუ იმ ორგანიზაციის ლიდერის დაშინება ან მისი პოლიტიკური კაპიტალის ამადღება. ორივე შემთხვევაში, ასეთი აქციები უარყოფითად მოქმედებს რესპუბლიკის მოსახლეობის ცნობიერებაზე, იწვევს უნდობლობას ამა თუ იმ პიროვნებისა თუ მოძრაობის, საერთოდ-დემოკრატიული მოძრაობის მიმართ, რაც

ხელს უწყობს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის იდეებისადმი საკმაოდ უარყოფითი აზრის ჩამოყალიბებას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, “სეთა” მომავალი უზენაესი საბჭოსაგან მოითხოვს ზომების მიღებას მოძალადეთა და პოლიტიკურ ავანტიურისტთა მიმართ, რათა არ დაეუშვათ ნაძალადევი კონფრონტაცია, მხარი დაუჭიროთ დამოუკიდებელ საქართველოში ეროვნული თანხმობისა და სამოქალაქო მშვიდობის იდეას.“

უზენაესი საბჭოს არჩევნები

წინასაარჩევნო მარათონში “სეთაც” ჩაება და პოლიტიკურ ბლოკ “თავისუფლებასში” გაერთიანდა, რომელიც საარჩევნო ბიულეტენში პირველ ნომრად იყო შეტანილი. ამ ბლოკს ასევე წარმოდგენდნენ:

- “საქართველოს რესპუბლიკურ ფედერალური პარტია” (თავმჯდომარე ირაკლი შენგელაია),
- ორგანიზაცია “დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის” (თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი),
- ლიბერალურ-დემოკრატიული-ეროვნული პარტია (თავმჯდომარე მიხეილ ნანეიშვილი),
- “საქართველოს მწვანეთა პარტია” (სპიკერი ზურაბ ჟვანია),
- “საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი” (ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კაკაბაძე).





მათ გარდა, 28 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობდნენ:

- 2) საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია;
- 3) საქართველოს კომუნისტური პარტია;
- 4) საქართველოს აგრარული კავშირი;
- 5) საარჩევნო ბლოკი “თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“;
- 6) საქართველოს სახალხო პარტია;
- 7) სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება;
- 8) საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია “სტალინი“;
- 9) საარჩევნო ბლოკი “საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და მთიელთა კავშირი“;
- 10) სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი;
- 11) საარჩევნო ბლოკი “განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება”
კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია
პროგრესულ-დემოკრატიული პარტია
შრომის პარტია

- 12) საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”
 ჰელსინკის კავშირი
 წმინდა ილია მართლის საზოგადოება
 მერაბ კოსტავას საზოგადოება
 ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
 ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი
 დიპერალურ-დემოკრატიული კავშირი
 ეროვნულ-ქრისტიანული პარტია
- 13) საქართველოს სახალხო ფრონტი
- 14) საარჩევნო ბლოკი “დემოკრატიული საქართველო”
 ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
 რესპუბლიკური პარტია
 თავისუფალ დემოკრატთა კავშირი
 ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება
 არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება
 დემოკრატიული სახალხო ფრონტი
 დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია.

რატომ გაეროვინდა “სათა” ბლოკ “თავისუფლებაში”

გაზეთ “დედამიწას” 30 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ალექსანდრე რუსეცკი პოლიტიკურ არჩევანს ასე ხსნიდა: “1. ბლოკში შემაგალი პარტიები გამოირჩევიან საკმაოდ მაღალი პოლიტიკური კულტურის დონით, იცავენ პოლიტიკურ ტაქტს; 2. ეს პარტიები პარტიულ ინტერესებს არ აყენებენ ბლოკის, საქართველოს მოსახლეობის, საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა; 3. ჩვენთვის ისევე, როგორც ბლოკში შემაგალი ყველა ორგანიზაციისთვის, მისაღებია პრინციპები — “ეკოლუცია და არა რევოლუცია“, “სტაბილურობა და არა დესტაბილიზაცია“; 4. ბლოკის წევრები პრაქტიკულ ცხოვრებაში და არა მარტო ქაღალდზე, გმობენ ძალადობის ნებისმიერ ფორმას; 5. “საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაციას” არსებობის პირველივე დღიდან კონსტრუქციული ურთიერთობები აქვს დამყარებული ბლოკში შემაგალ სხვა პარტიებთან; 6. ჩვენი აზრით,

“თავისუფლებაში” შესული ორგანიზაციები კარგად აგსებენ ერთმანეთს და ისინი მომავალში წარმოადგენენ დემოკრატიული მოძრაობის მეორე ტალღის ავანგარდს“.

იმავე გაზეთის კორესპონდენტთან საუბრისას, ალექსანდრე რუსეცკი ასევე აღნიშნავდა, რომ მისი ორგანიზაციის წევრები მონაწილეობას მიიღებდნენ იმ კანონების შედგენასა და რეალიზაციაში, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს დამოუკიდებლობის, სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის გარანტს.

“სეთა” და სხინვალის რეზონის კონფლიქტი

მართალია, პოლიტიკურ ბლოკ “თავისუფლებას” არჩევნებში არ გაუმართლა და მისი წევრები უზენაეს საბჭოში ვერ მოხვდნენ, მაგრამ “სეთას” ისედაც საკმაოდ ბევრი სამუშაო ჰქონდა. განსაკუთრებით ეს ითქმის ცხინვალის რეგიონში იმჟამად მიმდინარე კონფლიქტთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ ასოციაცია დაარსებისთანავე აქტიურად ჩაერთო რეგიონში შექმნილი პრობლემების მოგვარების პროცესში. ჯერ კიდევ 1989 წლის ნოემბრის დასაწყისში, ალექსანდრე რუსეცკი, მალხაზ რამიშვილი და ზურაბ მაჭარაძე ქალაქ ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ოსური ორგანიზაცია “ადამონ ნიხასის” წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე სტუმრებმა ყურადღება გაამახვილეს აგრესიული ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის განვითარების საშიშროებაზე, რომლის თავიდან ასაცილებლადაც მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა იყო საჭირო. მასპინძლები თანამშრომლობის იდეას არ დათანხმდნენ. კითხვას, რა ბედი ეწეოდათ საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებ ოსებს, განხეთქილების შემთხვევაში, მათ ასეთი პასუხი გასცეს: “საკუთარი ბედი თვითონ გადაწყვიტონო“. თუმცა, ამ გაცნობას ერთი პლიუსი მაინც ჰქონდა: შემდგომში ეს ნაცნობობა “სეთას” რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებაში დაეხმარა. იმავე დროს, მაშინ “სეთას” დელეგაციამ ქალაქ ცხინვალსა და რეგიონის სოფლებში გაავრცელა მანიფესტი, რომლითაც დაპირისპირებულ მხარეებს შერიგებისკენ მოუწოდებდა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ასოციაციის წევრები, ცხინვალის რეგიონში სტუმრობისას, ხშირად რისკზეც მიდიოდნენ და ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებასაც ახერხებდნენ. მაგალითად, შეძლეს სოფელ ფრისთან ფაქტობრივად გარდაუვალი სისხლისმღვრელი შეტაკების შეჩერება, რასაც შესაძლოა, სერიოზული მსხვერპლი მოჰყოლოდა. “სეთას” წარმომადგენლები, მშვიდობიანი თუ საგანმანათლებლო ვიზიტებით, შემდეგაც არაერთხელ ეწვივნენ რეგიონს. თუმცა, სამწუხაროდ, ძმათამკვლელი ბრძოლები გარდაუვალი აღმოჩნდა.

“აურზაური არაფრის გამო”

ცნობილია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის პროვოცირება, გარკვეულწილად ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტმაც განაპირობა. სამაჩაბლოში განვითარებულ მოვლენებს მალხაზ რამიშვილი ასეთ ინტერპრეტაციას აძლევს:

“ცხინვალის რეგიონში ჩვენი ვიზიტების ერთერთი უმთავრესი მიზანი იყო, იქ მცხოვრები ოსებისთვის დაგვემტკიცებინა, რომ თბილისში ყველა ადამიანი ერთნაირად არ ფიქრობდა. გვსურდა, მათთვის გვეჩვენებინა ჯანსაღი ძალის არსებობა, რომელიც მათთან მხოლოდ მშვიდობიან თანაარსებობას ემხრობოდა. ჩვენი გადაწყვეტილება განაპირობა გაზეთ “ლიტერატურულ საქართველოში” გამოქვეყნებულმა განცხადებებმა იმის შესახებ, თითქოს ცხინვალში მცხოვრები ოსი ეროვნების წარმომადგენლები საქართველოს ერთიანობას ეწინააღმდეგებოდნენ. არადა, მალე დაერწმუნდით, რომ იქ მსგავსი არაფერი ხდებოდა: ოსური მოსახლეობის უმრავლესობა საკუთარ თავს ჩვენი ქვეყნის ორგანულ ნაწილად მიიჩნევდა.” თუმცა, ამის მიუხედავად, შიდა ქართლში ვითარება მოულოდნელად დაიძაბა, რასაც მალხაზ რამიშვილი ასე ხსნის:

“აღბათ, არასდროს დავიჯერებდი, საკუთარი თვალით რომ არ მენახა ცხინვალის შესასვლელთან განვითარებული მოვლენები. მას შემდეგ, რაც თბილისში ძალიან გახშირდა ოსების წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები, ეროვნული მოძრაობის ლიდერები

რამდენიმე ათას აქტივისტს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქისკენ გაუძღვნენ. ქალაქის შესასვლელთან მათ 30–მდე ოსი ეროვნების მოქალაქე დახვდათ; მისულები გაჩერდნენ და ისეთი ილუზია შექმნეს, თითქოს ამდენ ადამიანს ვიღაც ცხინვალში არ უშვებდა. ცოტა ხანში ადგილზე გივი გუმბარიძე მოვიდა, რომელმაც „იკარუსის“ მარკის ავტობუსში მომიტინგეთა თავკაცები აიყვანა და დიდხანს ესაუბრა. დავინახეთ, რომ ავტობუსიდან ჩამოსვლისას ისინი შედარებით დამშვიდებულნი იყვნენ და ოდნავ შეცბუნებული იერი ჰქონდათ. ამის შემდეგ, მათ ადგილობრივ რესტორანში გადაინაცვლეს და შეკრებილმა ხალხმა დაშლაც დაიწყო. ალბათ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა, რომ არა – რაღაც გაურკვეველი ინციდენტი, რამაც ხელახლა დაძაბა სიტუაცია ცხინვალის შესასვლელთან. მალე იქ მყოფ 30 ოსი ეროვნების წარმომადგენელს 2000–ზე მეტი ადამიანი შეუერთდა, რომელთა წინააღმდეგ, მოგვიანებით, პოლიციელები გაგზავნეს. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა მხარემ კონფლიქტური სიტუაცია თითქმის ხელოვნურად შექმნა. არადა, შესაძლოა, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარებულიყო“.

განუსოროსილუბალი სამშვიდობო ინიციატივა

1991 წლის 11 სექტემბერს გაზეთ “თბილისში” დაიბეჭდა გიორგი თარხან-მოურავის წერილი — “რომ შეწყდეს სისხლისღვრა“. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ რამდენიმე თვე იყო, ცხინვალის რეგიონში ომი მიმდინარეობდა და უდანაშაულო ადამიანთა სისხლი იღვრებოდა. იგი გამოდიოდა ინიციატივით, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ექსპერტების, ასევე მსოფლიოში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა შემადგენლობით შექმნილიყო კომისია, რომელიც კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს შეისწავლიდა და მისი მოგვარებისთვის შესაბამის რეკომენდაციებს შეიმუშავებდა. “თვით კომისიის ორგანიზებას კი, ჩემის რწმენით, თავს გაართმევდა ისეთი ცნობილი მოღვაწე და ერთაშორის მშვიდობის დამცველი, როგორც ბატონი ალექსანდრე რუსეცკია. მისი თანხმობის შემთხვევაში, მზად ვარ, შეძლებისდაგვარად დავეხმარო,” — დასძენდა ავტორი.

გიორგი თარხან-მოურავის პატრიოტული პათოსისა და ინიციატივის მიუხედავად, კომისია არ შექმნილა. სამაგიეროდ, აღნიშნული წერილის გამოქვეყნების დღეს შეიქმნა საქართველოს პარტიათა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკორდინაციო საბჭო; ამასთან, 26-მა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ხელი მოაწერა ერთობლივ დოკუმენტს, რომლითაც კონფლიქტის ინსპირატორები სასტიკად დაგმეს. აღსანიშნავია საკორდინაციო საბჭოს ნაყოფიერი მუშაობა, რომლის ქვეკომისიას, ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარების საკითხებში, ალექსანდრე რუსეცკი ხელმძღვანელობდა. როცა რუსეცკის მიერ ამ თანამდებობის დაკავების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ გავრცელდა, ერთი პარადოქსული ფაქტი მოხდა: ერთ-ერთმა, “ხედმეტად თავგამოდებულმა პატრიოტმა“, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, მას-მედიის მეშვეობით განაცხადა, ამ საქმეს (ანუ ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგებას) ვიდაც რუსეცკებმა კი არა, სწორედ ქართველებმა უნდა უხელმძღვანელონო.

სამწუხაროდ, თავის დროზე სწორედ ასეთმა დაუფიქრებელმა განცხადებებმა გაგვირთულა ვითარება როგორც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებაში, ისე საქართველოში მოქმედ პარტიებს შორის.

“სეთა” და ყარაბაღის კონფლიქტი

კონფლიქტების მოწესრიგების სფეროში “სეთას” მოღვაწეობა მხოლოდ ცხინვალის რეგიონით არ შემოიფარგლებოდა. ასოციაციის წარმომადგენლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. კერძოდ, 1992 წელს მათ დაიწვეს “ტრანსკავკასიური დიალოგის” სახელწოდებით ცნობილი პროგრამის განხორციელება, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურებოდა.

მანამდე კი, 1991 წლის 2 ივნისს, მას-მედიაში გავრცელებული განცხადება იუწყებოდა, რომ “სეთამ” მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მშვიდობიანი ინიციატივას, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დარეგულირებისათვის. არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ ეს იყო

სტრატეგიულად გამართლებული და ბრძნული ხედვა ამიერკავკასიაში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ ყარაბაღის პრობლემა, ბუნებრივია, ადეკვატურ გავლენას ახდენდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დაძაბულ სიტუაციაზე; ამის გამო, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მოგვარება საქართველოს ინტერესებშიც შედიოდა. ეს კარგად ესმოდა “სეთასაც“, რომელმაც არა მარტო მხარი დაუჭირა პრეზიდენტის ინიციატივას, არამედ საფუძველიც ჩაუყარა ამ თემაზე მოლაპარაკებების დაწყებას არასამთავრობო დონეზე.

“საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია” მიესალმება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას მშვიდობიან ინიციატივას, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით. “სეთა” თვლის, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტი საშიშროებას წარმოადგენს როგორც ამ რესპუბლიკების მოსახლეობისთვის, ასევე — საქართველოს მოსახლეობისთვის და უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების წარმომადგენლებისთვის. “სეთა” აცხადებს, რომ მიუხედავად არაერთი მცდელობისა, კონფლიქტი გაელვებინათ საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, პროვოკატორებმა დაძაბულობის ახალი კერის წარმოქმნა ვერ შეძლეს. სომეხ და აზერბაიჯანელ ეროვნებათა წარმომადგენლები ყოველთვის ავლენდნენ თავშეკავებას და იცავდნენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, რადგან ითვალისწინებდნენ საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პრეზიდენტის ინიციატივას ვაფასებთ, როგორც მისწრაფებას, გაამყაროს ურთიერთდამოკიდებულება არა მარტო საქართველოს მაცხოვრებლებს, არამედ მეზობელ რესპუბლიკებს შორისაც. კავკასიის რეგიონის ყველა ხალხს შორის მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის ინტერესებიდან გამომდინარე, “სეთა” მზად არის, მონაწილეობა მიიღოს იმ აქციებში, რომლებიც მხარს დაუჭერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მშვიდობიანი ინიციატივას; ასევე ავამოქმედებთ ყველა შესაძლებელ საერთაშორისო კავშირსა და სხვა რესპუბლიკებისა თუ ქვეყნების სახალხო დიპლომატიას,”- აცხადება „სეთა“.

ეჭვიანი ხელისუფლების პირობებში

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ფონზე, მართლაც პარადოქსული იყო ის გარემოება, რომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის მოღვაწე “სეთას” ეროვნული მოძრაობით შობილი ხელისუფლება ეჭვის თვალთ უყურებდა. ალექსანდრე რუსეცკი იხსენებს მაშინდელ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას მიერ ასოციაციის რეგისტრაციაში არგატარების ფაქტს, რაც მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე ერთგვარი დაპირისპირების მიზეზიც გამხდარა: მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია აცხადებდა, რომ ორგანიზაცია რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინათ. ხოშტარია ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავდა, სიგუა კი საპირისპიროს ფიქრობდა. მიზეზი? — თურმე ხელისუფლებას “სეთა” ინტერფრონტის მსგავს ორგანიზაციად მიაჩნდა. როგორც ჩანს, სიგუა “ზედმეტი გულმოდგინებით აკონტროლებდა” ჩვენს ქვეყანაში მაშინ მოქმედი იმ ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც ხელისუფლებას ოფიციალურად არ ექვემდებარებოდნენ. კონტროლის მეთოდები განსხვავებული, ზოგჯერ საკმაოდ მკაცრიც იყო. მაგალითად, ერთერთ ასეთ მეთოდს წარმოადგენდა ასოციაციის ოფისში ე.წ. სამართალდამცველთა ყოველად გაუმართლებელი შეჭრის ფაქტები, რასაც მართლაც აბსურდული მოსაზრებებით ამართლებდნენ. “სეთა” არად აგდებდა ხელისუფლების მხრიდან გამოვლენილ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზეწოლას; ასოციაცია დაწყებულ საქმეს აგრძელებდა. ამ პროცესში “სეთა” აღმოჩნდა ურთიერთდაპირისპირებული ხელისუფლებისა და ოპოზიციის შემრიგებლის როლში. ზვიად გამსახურდიას მთავრობის მიერ ზედიზედ დაშვებულმა შეცდომებმა მკვეთრად გაზარდა მისი მოწინააღმდეგეების რაოდენობა; შედეგად, ქვეყანაში ფართომასშტაბიანი სამოქალაქო დაპირისპირების სერიოზული საფრთხე შეიქმნა.

მლელვარე სეჟემზრის ღლეზი

კონკრეტულად, რე შეცდომებს ვეზლისხმობთ? ამზე მეტყველებს 1991 წლის სექტემბერში თბილისში განვითარებული მოვლენები, რომლებიც ადეკვატურად აისახებოდა პრესაში. მაგალითად, გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკის” 1991 წლის 3 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების (სოციალ-დემოკრატიული პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება და დასი) განცხადება: “ა.წ. 2 სექტემბერს საქართველოს ხელისუფლებამ თბილისში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაშალა მიტინგი, რასაც მოჰყვა ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების მშვიდობიანი საპროტესტო აქციები დემოკრატიული მოთხოვნებით. ოფიციალურმა ხელისუფლებამ მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებით თავის მომხრე ძალებს არაერთხელ მოუწოდა ოპოზიციის ფიზიკური განადგურებისკენ, რაც 22 სექტემბერს, გამთენიისას, რუსთაველის გამზირზე აქციის მონაწილეთა ბარბაროსული დარბევით დასრულდა. ამის შემდეგ მშვიდობიანი პოლიტიკური აქცია შეუერთდა ჟურნალისტთა გაფიცვას საქართველოს ტელე-რადიო დეპარტამენტის შენობის წინ. ეროვნულმა გვარდიამ, რომელიც აცხადებდა, რომ არ დაუშვებდა ძალადობას რომელიმე მხრიდან, სიტყვა შეასრულა და დედაქალაქში, ჩამოვიდა დარბეული, მშვიდობიანი მომიტინგეების დასაცავად. გვარდია თავის განცხადებაში კატეგორიული წინააღმდეგობა გამოდიოდა ყოველგვარი შეტევითი მოქმედებისა.

ხელისუფლება შეგნებულად აიგივებს ოპოზიციურ ძალებს ეროვნულ გვარდიასთან და 3 ოქტომბრის 12 საათამდე ულტიმატუმის სახით მოითხოვს განიარაღებას. თავისთავად, შეუძლებელია – ეს მოთხოვნა ეხებოდეს პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რადგან ჩვენი ბრძოლის მეთოდები მსოფლოდ და მსოფლოდ მშვიდობიანია. სრულიად აშკარაა, რომ ხელისუფლების ამგვარი განცხადებები მიზნად ისახავს ოპოზიციის მონათვლას შეიარაღებულ ძალად და დემოკრატიული სამყაროს თვალში მის დისკრედიტაციას.

დემოკრატიული ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციები კიდევ ერთხელ მტკიცე პროტესტს გამოთქვამენ ამ დეზინფორმაციის გამო.“

მართალია, ამ განცხადებაში მხოლოდ რამდენიმე ფაქტია აღნიშნული, მაგრამ მასში კარგად ჩანს ოპოზიციური ძალების განწყობა ხელისუფლებისადმი და საერთო—პოლიტიკური სიტუაცია. 2 სექტემბრის ინციდენტი მთიდან დაგორებულ თოვლის იმ გუნდას დაემსგავსა, რომელიც ძალიან მალე ზვავად იქცევა—ხოლმე. “პოლიტიკურ—საზოგადოებრივმა ზვავმა” გაზრდა მაშინ დაიწყო, როცა 16 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში სტუდენტთა და პროფესორ—მასწავლებელთა მჯდომარე აქცია გაიმართა; ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომას.

ოპოზიციის “ღროჯითი შტაბი”

ეს აქცია 22 სექტემბერამდე გაგრძელდა. პარალელურად, საქტელერადიო დეპარტამენტის შენობასთანაც მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია, რომელსაც მალე ეროვნული გვარდიის ჯარისკაცები შეუერთდნენ. როგორც იმ პერიოდის პრესიდან ირკვევა, მათ ასეთი მისია ეკისრებოდათ: “საქტელერადიო დეპარტამენტის შენობასთან გუშინ მთელ დღეს, არ შეთხელებულა ხალხი... შენობას ეროვნული გვარდიის ნაწილები იცავს, თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით. შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ნოდარ ნათაძემ, ჭაბუა ამირეჯიბმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, გია თვალავაძემ, მერაბ ბერაძემ და სხვებმა. ითქვა — წუხელ, შავნაბადაზე შეიარაღებული თავდასხმა იყო, ხელისუფლებას სურს, გვარდიის სიფხიზლე შეამოწმოს. თავდამსხმელთა შორის არიან დაჭრილები. ბევრჯერ გავაფრთხილეთ ხელისუფლება, რომ ძალით პრობლემების გადაჭრა არაფერს სასიკეთოს არ მოიტანს, მაგრამ მას არ სურს ჩვენთან მოლაპარაკება. ჩვენ მივდივართ მოლაპარაკებაზე, მაგრამ ჩვენს სიტყვას არავინ ისმენს, არაფერი საიმედო არ მოსდევს შეხვედრებს; არადა, სისხლის დაღვრის რეალური საფრთხე არსებობს,“— წერდა 27 სექტემბრის “საქართველოს რესპუბლიკა“.

სამწუხაროდ, ხელისუფლებას ნაკლებად აინტერესებდა ოპოზიციის აზრიც და მისგან მიღებული გაფრთხილებაც, რაც ცოტა მოგვიანებით ასრულდა კიდევ: მთავრობისა და ოპოზიციის

მომხრეთა შორის, “იმელის” შენობასთან და რუსთაველის გამზირზე, სისხლიანი შეტაკებები მართლაც მოხდა. თუმცა, ყოველდღიურ მიტინგებზე ორივე მხარე, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, ერთმანეთს შერიგებისკენ მოუწოდებდა.

შეხვედრა თენგიზ კიტოვანთან და აკაკი ასათიანთან

ამ ფონზე ყველაზე საგულისხმოდ მიგვაჩნია შემდეგი გარემოება: ვისაც გადაწყვეტილება უნდა მიეღო და სიტუაცია დაერეგულირებინა, მათ ნერვიც არ უტოკავდათ და “ქართულ სილინჯეს” უმიძიეს მდგომარეობაშიც არ კარგავდნენ. ამ და სხვა საყურადღებო ნიუანსებს შეიცავს მწერლისა და პუბლიცისტ გივი ჩხიკვიშვილის მონათხრობი:

“1991 წლის სექტემბერი უაღრესად დაძაბული თვე აღმოჩნდა. თბილისში არსებულმა დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. ერთადერთ გამოსავალს მშვიდობიან მოლაპარაკებასა და თანამშრომლობაში ვხედავდით. არადა, მთელი მოსახლეობა ორ დიდ ბანაკად იყო დაყოფილი.

ფაქტიურად, ერთადერთ პოლიტიკურ-სახოგადოებრივ ძალას, რომელიც ბოლომდე ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა და თანამშრომლობის თვალსაზრისით ყველაზე უფრო ნორმალურ შთაბეჭდილებას ტოვებდა, “საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია” წარმოადგენდა. მაშინ ახალი ჩამოყალიბებული გეკონდა “ეროვნული ღირსებისა და კონსოლიდაციის სახალხო მოძრაობა“, რომელსაც თქვენი მონა-მორჩილი ვხელმძღვანელობდი. ამ მოძრაობის სახელით დაუკავშირდით ბატონ ალექსანდრე რუსეცკის და შევთავაზეთ, შემრიგებლის როლი გვეთამაშა დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა და რამდენიმე თანამოაზრე (მათ შორის იყვნენ ჩვენი მოძრაობის ერთერთი წარმომადგენელი ბადრი ჭოხონელიძე და მწერალი ნუგზარ შატაიძე) ეროვნული გვარდიის სარდალ თენგიზ კიტოვანს ტელევიზიის შენობაში შევხვდით. შევთავაზეთ, შენობა დაეტოვებინა და სამხედრო ნაწილში დაბრუნებულიყო, რათა დაძაბულობა თავიდან აგვეცილებინა. მან

ძალიან მშვიდად მიგვიღო და აუღელვებლად გვითხრა: აქედან გავაღ, თუ ჩემს წინააღმდეგ სამხედრო ძალას არ გამოიყენებენო.

შერიგების წინადადებით მოგვიანებით პარლამენტის თავმჯდომარე აკაკი ასათიანსაც შევხვდით. ვაფრთხილებდით, მაშინ მიმდინარე მოვლენები შესაძლოა, სამოქალაქო ომში გადაზრდილიყო. მანაც ძალიან გულთბილად მიგვიღო, თუმცა არ დაგვეთანხმა: ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება ვართ და ზედმეტს ვინ გაგვიბედავსო. მან არ გაიზიარა ჩვენი არგუმენტები, მოსალოდნელ საფრთხესთან დაკავშირებით“.

ბარამოსვის მსხვერპლნი

გივი ჩხიკვიშვილის მონათხრობიდან კარგად ჩანს, რომ არცერთ მხარეს კონფლიქტის მოსაწესრიგებლად მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა არ სურდა. ორივე ბოლომდე იყო დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში და შესარიგებლად რეალურ ნაბიჯებს არ დგამდნენ. ამ გარემოებას ბატონი გივი ასე ხსნის: “შესაძლოა, ისინი დაგვეთანხმებოდნენ კიდევ, ერთმანეთზე უარესი გარემოცვა რომ არ ჰყოლოდათ. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, კიტოვანს არათუ შერიგებისკენ, არამედ თურმე მთავრობის სახლის შტურმით აღებისკენ აქეზებდნენ. რაც შეეხება ასათიანს, ისიც იზოლაციაში ჰყავდათ მოქცეული და ამშვიდებდნენ – ცუდი არაფერია მოსალოდნელი, ოპოზიციის წარმომადგენლები იბობოქრებენ და ბოლოს დაწყენარდებიანო.

გარეთ კი, მომიტინგეები და გაფიცულები ერთმანეთის დადანაშაულებით იყვნენ დაკავებული. მაშინ ძნელი იყო ისეთი ადამიანისა თუ პოლიტიკური ძალის მონახვა, სწორად რომ აფასებდა მოვლენებს და გამოსავალსაც ხედავდა. ასეთი იყო “საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია“, რომელმაც ოდნავ მოგვიანებით ე.წ. “მესამე აზრის” იდეა წამოაყენა.

იმ მოვლენების გახსენებისას, ახლაც ისევე მტკივა გული, როგორც – მაშინ. ჩვენთვის რომ დაეჯერებინათ, იქნებ ის საშინელი მოვლენები აღარ განვითარებულიყო“.

“მესამე ძალის” გამოჩენა უნივერსიტეტის ბაღში

“საქართველოს რესპუბლიკის” იმავე, ანუ 27 სექტემბრის, ნომერში დაბეჭდილი იყო ინფორმაცია, მთავრობის სახლთან გამართული ხელისუფლების მომხრეთა მიტინგის შესახებაც: “მიტინგის ბოლოს, სრულიად საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა წარმომადგენლების სახელით, თენგიზ შერვაშიძემ წაიკითხა მიმართვა სრულიად საქართველოსადმი: “სულის სიღრმემდე ვართ შეძრულნი თბილისში ამ დღეებში მომხდარი ტრაგედიით. ქართველთა მიერ ქართველთა სისხლი დაიღვარა. ახლა პირადი შუღლისა და პოლიტიკური ამბიციების დრო არ არის. უდიდესი გამოცდის წინაშე ვდგავართ; ამ გამოცდას უნდა გავუძლოთ და ერთმანეთის სიძულვილის მაგივრად, უნდა გავერთიანდეთ.”

“საქართველოს რესპუბლიკის” ამ ნომერზე შემთხვევით არ გაგვიმახილებია ყურადღება: მასში დაბეჭდილი აღნიშნული ინფორმაციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არცერთ დაპირისპირებულ მხარეს სისხლისღვრა და კონფლიქტი არ უნდოდა. ისინი, ძირითადად, ერთმანეთის დადანაშაულებით იყვნენ დაკავებული. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია მესამე მხარის, ანუ როგორც შემდეგ უწოდეს — “მესამე ძალის” შესახებ. ეს ინფორმაცია გვაუწყებდა სახელმწიფო უნივერსიტეტთან მეორე (16–21 სექტემბრის აქციის შემდეგ) აქციის დაწყებას: “ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში 22 სექტემბერს დაიწყო სხვა სტუდენტთა მჯდომარე აქცია, რომელიც ეროვნული თანხმობისა და მშვიდობისაკენ მოუწოდებს ქართველ ერს. და აი, უნივერსიტეტის ბაღში გაჩნდა ლოზუნგები: “უნივერსიტეტი მშვიდობიანი ალტერნატივის კერა“, “ჩვენი აქცია დაპირისპირებულ მხარეებს მოუწოდებს დიალოგისკენ” და სხვა.”

თანდათან, ამას დამატა შემდეგი ლოზუნგებიც: “ეროვნული შერიგება და შენდობა” და “არ დავუშვათ ბაზალეთი“. მათ ირგვლივ გაერთიანებულმა სტუდენტებმა და უნივერსიტეტის თანამშრომლებმა მიტინგების გამართვა დაიწყეს; ამ აქციის საკუთარი მიზნისთვის გამოყენება ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხარდამჭერებმაც სცადეს და არსებობდა საშიშროება, მათი მცდელობა ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში ან, უკიდურეს

შემთხვევაში, სისხლიან შეტაკებაში გადაზრდილიყო. ჯერ ერთი, სიტუაცია უკიდურესად იყო დაძაბული; მეორეც, ამის პრეცედენტები უკვე არსებობდა; მესამე, არცერთი დაპირისპირებული მხარე არაფერს დაიშურებდა, თავისი სიტყვა თუნდაც ძალის გამოყენებით გაეტანა. 22 სექტემბერს დაწყებული აქციის მიზანი სწორედ ამ დაძაბულობის განეიტრალება იყო.

“ჩვენი სახით უნივერსიტეტში მესამე ძალა გაჩნდა; ოღონდ, ნუ შეგაკრთობთ ეს სიტყვები — “მესამე ძალა“. ჩვენ ვართ საქართველოს სტუდენტების ნაწილი, ვინც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაპირისპირებული მხარეები შეარიგოს და სისხლი არ დაიღვაროს. ეს გადაწყვეტილება თსუ-ს თანამშრომლებმა და სტუდენტებმა ერთად მივიღეთ. ჩვენს შორის არიან ორივე მხარის — როგორც პრეზიდენტის მომხრეთა, ისე მის მოწინააღმდეგეთა წარმომადგენლები“, — ხაზგასმით აღნიშნავდა ერთერთ მიტინგზე ალექსანდრე რუსეცკი. სხვათა შორის, რუსეცკი და მისი თანამოაზრე რამდენიმე სტუდენტი შეხვდნენ მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარეს – აკაკი ასათიანს და სთხოვეს, განეხორციელებინა გადამჭრელი ღონისძიებები ამ დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. ახალგაზრდებისგან განსხვავებით, ასათიანს შესაბამისი ენთუზიაზმი და შემართება არ აღმოაჩნდა: როგორც ჩანს, საქმეს აღარაფერი ეშველებოდა და ხელისუფლების მეორე პირმა ეს იცოდა.

აქ საგულისხმოა ერთი გარემოებაც: საბჭოთა ქვეყანაში არსებობდა ერთი ძალა და ერთი აზრი — ეს იყო კომუნისტური პარტია. გარდამავალ ანუ ეროვნული მოძრაობის შემდგომ წლებში გაჩნდა ორი ძალა და შესაბამისად, ორი აზრი: ხელისუფლების მომხრე და მისი მოწინააღმდეგე. “სეთამ“ და მისმა თანამოაზრეებმა სცადეს, ამ ორი ალტერნატივისთვის მესამე ძალა და მესამე აზრიც დაემატებინათ, რაც საქართველოში ნამდვილი დემოკრატიის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი მცდელობა იყო, რადგან მაშინ აქტიურად მუშაობდა ტოტალიტარული დევიზი: ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია. არადა, ორი მხარის დაპირისპირების შემთხვევაში, ლიბიკურად, აუცილებლად უნდა არსებობდეს მესამე ძალა, რომელიც მათ მოარიგებს.

“სეთა” – მშვიდობის დესკანი

უნივერსიტეტის ეზოში გამართული აქციის მნიშვნელობას “სეთას” ლიდერი ასე განსაზღვრავდა: “ჩვენი აქცია არ არის პოლიტიკური, მხოლოდ **დესპანი ვართ მშვიდობისა**. ახალგაზრდობა, რომელიც მომსწრეა, თუ რა ხდება ირგვლივ, მოვალენი ვიყავით, ეს ნაბიჯი გადაგვედგა. დღეს შექმნილ სიტუაციაში განზე ვერ დავდგებოდით. ჩვენი მიზანია, კავშირი დავამყაროთ ორივე მხარესთან, ვაწარმოოთ მოლაპარაკება როგორც ყველა პარტიის, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებთან. პირველი ნაბიჯი გადადგმულია და გვწამს, რომ ჩვენი მოქმედება ისე წარიმართება, როგორც ჩვენი ერისთვისაა სასურველი. ყველასთვის ცნობილია უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია მეორის მიმართვა. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდობას გვსურს, უნივერსიტეტი მშვიდობისა და მეგობრობის ტაძრად გადაიქცეს“.

“სეთა” არა მარტო მხარს უჭერდა საქართველოს სულიერი მოძღვრის მიმართვას, არამედ თვითონაც მონაწილეობდა კიდევ ერთი, ეროვნული მნიშვნელობის მიმართვის მომზადებაში:

“ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლების ჯგუფის

მ ი მ ა რ თ ვ ა

სრულიად საქართველოს მოსახლეობას

*ამჟამად, მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია, რომ საქართველოში შექმნილია საგანგებო მდგომარეობა. არ ვემიჯნებით რა იმ ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, იძულებულნი არიან იარაღით დაიცვან თავი, ამავე დროს, ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ ქართველი ხალხი დგას **სამოქალაქო ომის** საშიშროების წინაშე.*

მხარს ვუჭერთ რა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II–ის სამშვიდობო ინიციატივას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქციის

მონაწილე სტუდენტები და თანამშრომლები ვთვლით, რომ ამ საყოველთაო კონფრონტაციის დროს, როცა მთელი თბილისის, და არა მარტო თბილისის ტერიტორია დაყოფილია დაპირისპირებული მხარეების “კუთვნილ” უბნებად, უნდა არსებობდეს ადგილი, რომელიც “მშვიდობის კერად” გამოცხადდება და სადაც სიტუაციის განსამუხტავად დიალოგის გამართვა მოხერხდება.

მიგვანხნია, რომ ასეთი “უიარაღო, მშვიდობიანი ზონის” მისია შეიძლება იკისროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

ორივე მხარეს მოეუწოდებთ დიალოგისკენ, განსაკუთრებით კი - ხელისუფლებას, რომელიც, როგორც არაერთხელ აღინიშნა, არის ხალხის მიერ არჩეული, უფლებამოსილებით აღჭურვილი და, ამავე დროს, ძირითადად პასუხისმგებელი, შექმნილი სიტუაციის გამო.

ვაცხადებთ: ამიერიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი მიმდებარე ტერიტორია არის “სამშვიდობო, უიარაღო ზონა“. იგი მზად არის, მიიღოს დიალოგის ყველა მსურველი.

მოეუწოდებთ საზოგადოებას, მხარი დაუჭიროს ჩვენს მშვიდობიან ინიციატივას“, — “საქართველოს რესპუბლიკის“ 26 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ამ მიმართვას ალექსანდრე რუსეცკისთან ერთად, 18-მა ადამიანმა მოაწერა ხელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე ნომერში დაიბეჭდა განცხადება, რომელსაც უშუალოდ “სეთა” და “ეროვნული ღირსებისა და კონსოლიდაციის სახალხო მოძრაობა” აწერდნენ ხელს:

“შეწყდეს ძმათა სისხლისღერა

ეროვნული შერიგებისთვის ზვარაკად შეწირულთა თავდადებაამც ვერ დააცხრო ვნებათაღელვა. საყოველთაო ფსიქოზის გამიზნული ვადვივება ეროვნულ კატასტროფას გვიმზადებს.

გაუთავებელი ანგარიშსწორების აგორებული ზვავი წარდვნიტ გვემუქრება.

მსხვერპლთა რაოდენობა იზრდება... ძმათა სისხლისღერაში გამარჯვებული ვერავინ დარჩება. ეს ნათელი ჭეშმარიტება ავიწყდებათ მავანთ და მავანთ.

ყოველი წუთი საბედისწეროა. ჩვენი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა დაიწოს კონსტრუქციული დიალოგი დაპირისპირებულ მხარეთა შორის.

ეროვნული შერიგება და შენდობა არის ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან.

ყველას, ვინც იზიარებს ამ მოსაზრებას, ვთხოვთ დღეს, 26 სექტემბერს, დღის ორ საათზე, მობრძანდეს მიტინგზე, რომელიც გაიმართება ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო თბილისის უნივერსიტეტის ბაღთან“.

“ეს განწირული სულიკვეთება“...

ასეთი განცხადებები და მიმართვები იმ დროის პრესაში უხვად გვხვდება. თუმცა, როგორც დავინახეთ, “სეთა” სიტყვითაც აქტიურობდა და საქმითაც. იგი ერთ-ერთი პირველი სტესდა განგაშის ზარს მოსალოდნელ საფრთხესთან დაკავშირებით. მისი დამსახურებაც იყო, რომ ქართველი ერი იშვიათად თუ ყოფილა ისე პატრიოტულად განწყობილი, როგორც მაშინ.

სხვათა შორის, იმ დღეების განმავლობაში თბილისის და მთლიანად საქართველო ერთმა ფაქტმა სულით ხორცამდე შეძრა: “როდესაც დამწვრობის ცენტრში მიიყვანეს, ჯერ კიდევ გონზე მყოფს ვინაობა ჰკითხეს, – ქართველი ვარო – უთქვამს, გვარი მითხარიო, ჩასძიებია ექიმი და ... – საქართველოო, უპასუხია“, – ეს ფრაზა, რომელიც პრესაში კომენტარის გარეშე დაიბეჭდა, მეორე სამშობიარო სახლის კარდიოლოგ ვია აბესაძის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ასახავს: მან მთავრობის სახლის წინ ბენზინი გადაისხა და ცეცხლი წაიკიდა, მთელი მოსახლეობა კი შოკში ჩააგდო.

“მე არ მახსოვს ვიასაგან ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯიც კი; იგი რომ ემოციებს აყოლილი, იმპულსური პიროვნება ყოფილიყო, სხვა საქმეა, მაგრამ ფიქრობ, ეს ნაბიჯი მან სრულიად შეგნებულად გადადგა – ჩვენს გადასარჩენად“, – იტყვის მოგვიანებით პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში იმავე სამშობიარო სახლის მთავარი ექიმის მოადგილე, ზაქარია ბეჟიტაშვილი.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა თბილისში პირველი მაისის ქუჩას გააბესადის სახელი უწოდა, მაგრამ სამწუხაროდ, მისმა თავგანწირვამ მოსალოდნელი (იგულისხმება 1991-1992 წ. დეკემბერ-იანვრის მოვლენები) სისხლიანი დაპირისპირება ვერ შეახერა.

4 ოქტომბრის ეპოქა

მთავრობის სახლთან პრეზიდენტის მხარდამჭერთა მიტინგები, ტელევიზიის შენობასთან კი ოპოზიციის წარმომადგენელთა (მათ შორის — შეიარაღებული სამხედროების) საპროტესტო აქციები სექტემბრის დასასრულსა და ოქტომბრის დასაწყისშიც გრძელდებოდა. მათ შესარიგებლად, “მესამე ძალამ” კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა:

“სამშვიდობო ინიციატივების საკოორდინაციო ცენტრის განცხადება

ამა წლის 2 ოქტომბერს სტუდენტების, ინტელიგენციის, საზოგადოების ფართო ფენების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნა სამშვიდობო ინიციატივების საკოორდინაციო ცენტრი. მასში შედიან სხვადასხვა პოზიციის მქონე პირები, რომელთაც აერთიანებთ ერთი მიზანი — სამოქალაქო მშვიდობის დამყარება საქართველოში.

ცენტრი მზად არის, მხარი დაუჭიროს ყველა იმ კონსტრუქციულ წინადადებას, რომელიც მოწოდებული იქნება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრისაკენ. თითოეული ჩვენგანი თავის მოქალაქეობრივ ვალად თვლის, საქართველოსთვის ამ საბედისწერო უამს, ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაიშუროს ენერგია და ითანამშრომლოს დაპირისპირებულ მხარეებთან, მათ შორის - მოლაპარაკებისა და ურთიერთთანხმობის მიღწევის მიზნით“, — ვკითხულობთ “საქართველოს რესპუბლიკის” 3 ოქტომბრის ნომერში.

შესაძლოა, 1991 წლის 4 ოქტომბერი საქართველოს უახლოეს ისტორიაში ძმათა შორის კიდევ ერთი სისხლიანი შეტაკების თარიღად შესულიყო. ამ დღეს მთავრობის სახლიდან რამდენიმეათასიანი, აბოლოქრებული ხალხის მასა სახელმწიფო

უნივერსიტეტისკენ დაიძრა. “ამ ადამიანების მიზანი ოპოზიციის წარმომადგენლებთან შეხვედრა იყო. როგორც საკოორდინაციო ცენტრში გაერთიანებული სტუდენტების მცირე ჯგუფმა შევიტყუთ, ისინი უნივერსიტეტში თუ არა, ტელევიზიის შენობასთან მაინც შეხვედებოდნენ ოპოზიციონერებს. ორივე მხარე იმდენად აღუფრთხილებელი იყო, რომ ეჭვგარეშეა, მათი შეხვედრა ფიზიკურ ანგარიშწორებაში და ადვილი შესაძლებელია, სისხლიან დაპირისპირებაში გადაზრდილიყო; მით უმეტეს, ოპოზიციას სამხედროებიც უჭერდნენ მხარს. სასწრაფოდ შეგკრიბეთ თანამოაზრეების გარკვეული ნაწილი და უნივერსიტეტის ეზოში სახელდახელო მიტინგი გაემართეთ. ხელისუფლების მხარდამკერებიც შემოგვიერთდნენ და გზა აღარ განაგრძეს. ბუნებრივია, სიტყვაში მათი წარმომადგენლებიც გამოვიდნენ და მიტინგი რამდენიმე ხანს გაგრძელდა. შედეგად, მათი ემოციები შედარებით დაცხრა და რაც მთავარია, ესოდენ სახიფათო შეხვედრა აღარ შედგა“; — იხსენებს ალექსანდრე რუსეცკი, იმ სახელდახელო მიტინგის ერთ-ერთი მოთავე.

დღევანდელი გადასახედიდან...

ამით “სეთამ” და საერთოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი დანიშნულება პირნათლად შეასრულეს. როგორც ცნობილია, ნებისმიერ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ორგანიზაცია—დაწესებულებას, თავის კონკრეტულ ფუნქციასთან ერთად, სხვა ფუნქციებიც გააჩნია. ამ შემთხვევაში, აღნიშნულმა ორგანიზაციამ და უმაღლესმა სასწავლებელმა ეროვნული თანხმობის მიღწევა გარკვეულწილად შეძლო და მკვეთრი აგრესიული მუხტი დროებით მაინც გაანეიტრალა. როგორ შეიძლება, ეს შეფასდეს დღევანდელი გადასახედიდან? ამის შესახებ იმ პროცესების უშუალო მონაწილენი მოგვითხრობენ.

გიორგი ბარამიძე, სახელმწიფო მინისტრი: “უნივერსიტეტის ეზოში მიმდინარე აქცია სამი მიზეზის გამო იყო მნიშვნელოვანი: პირველი, ორი დაპირისპირებული მხარის შესარიგებლად, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ჯანსაღი ძალა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა უმწვავესი სიტუაციის განმუხტვაში; მეორე, მაშინ შექმნილი ვითარებიდან ასეთი გამოსავალი გამოეძებნეთ: იმის გამო, რომ

ხელისუფლება და ოპოზიცია ვერაფერზე თანხმდებოდნენ, ჩვენ მოვითხოვდით ვადაძდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას და ეროვნული შერიგების პროცესის მშვიდობიან წარმართვას. მესამე, საქართველოში ფაქტობრივად მაშინ ჩაეყარა საფუძველი ნამდვილი დემოკრატიის დამკვიდრებისათვის მეტად აუცილებელი მოვლენის — მესამე აზრის არსებობას. ამის ინიციატორები, უმთავრესად, “საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია” და ჩვენი პარტია, “მწვანეთა მოძრაობა” იყვნენ“.

მარიკა დარჩია, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი: “იმ პერიოდში საქართველოს ხელისუფლება რადიკალურ პოლიტიკას წარმატავდა. როგორც ცნობილია, რადიკალიზმი მშვიდობას ვერასოდეს დაამყარებს ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო მშვიდობიანი ინიცირება, რომლის ავტორებიც “საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია” და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები იყვნენ. ამავე დროს, ასეთი ტიპის აქცია ქვეყანაში პირველი იყო იმ მხრივ, რომ “მესამე აზრის” ფაქტორი ქართული საზოგადოებისათვის მაშინ ჯერ კიდევ, ასე ვთქვათ, ახალი ხილი იყო. ასე რომ, ეს იყო იმ დროისთვის ერთი უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯი“.

რაც დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება სტუდენტთა 10–15 კაციანი ჯგუფის საოცარი მოხერხება და შემართება, რითაც ძმათაძველი შეტაკება შეაჩერეს. ეს იყო იმის ნათელი მაგალითი, რომ არანაირი კონფლიქტი და დაპირისპირება არ მოხდება, თუ აღამიანები ამას გულწრფელად მოინდომებენ.

თბილისის მოვლენები რუსულ პრესაში

1991 წლის 16 ოქტომბერს გაზეთ “კომსომოლსკაია პრავდაში” გამოქვეყნდა ჟურნალისტ კ. ბელიანინოვის სტატია “თბილისური არდადეგები“. რუსი კორესპონდენტი, არაერთი არგუმენტის მოხმობით, ამტკიცებდა, რომ ყოველთვის გამორჩეულად აქტიური ქართველი სტუდენტობა იმუამად ძალიან პასიური გახდა. ამის მიზეზად გამსახურდიას მხრიდან სტუდენტთა სრულ იგნორირებას ასახელებდა და სტუდენტებს პრეზიდენტის წინააღმდეგ ხმის

ამოღებისკენ მოუწოდებდა. დავაზუსტებთ, რომ ეს უკვე ის პერიოდი იყო, როცა პოლიტიკური მდელვარება შედარებით დაცხრა და უნივერსიტეტის ბაღში სტუდენტები აქციას აღარ მართავდნენ. ბელიანინოვი სტატიაში ასევე აღნიშნავდა, საკვირველია — სტუდენტები ასე მშვიდად როგორ ხვდებიან საქართველოს პრეზიდენტის თვითნებობასო. ამასთან, ბელიანინოვი ძალიან დაინტერესებულა აღექსანდრე რუსეცკის, როგორც სტუდენტთა ერთ-ერთი ლიდერის, პოზიციით და სტატიაში მისი კომენტარიც მოჰყავს: “ჩვენ არ გვინდა, ვინმეს მხარეს დავდგეთ. უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ემხრობა ოპოზიციას (აღექსანდრე რუსეცკის ეჭვი ეპარება, რომ ეს ფრაზა მართლაც თქვა. შესაძლოა, ეს თვითონ ჟურნალისტის სიტყვებია, რაც ბელიანინოვს გარკვეული მიზნისთვის სჭირდებოდა), მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ სტუდენტობა უნდა იქცეს მესამე ძალად. ჩვენ ვინარჩუნებთ ხაზგასმულ ნეიტრალიტეტს, ხოლო უნივერსიტეტის ტერიტორია გამოვაცხადეთ მშვიდობის ზონად და ვცდილობთ, გავხდეთ შუამავლები,” — აღნიშნავდა რუსეცკი.

სამწუხაროდ, ამ და სხვა მცდელობების მიუხედავად, ხელისუფლება კვლავ უშვებდა პერმანენტულ შეცდომებს, რამაც სამი უმძიმესი შედეგი განაპირობა: თბილისის ომი, აფხაზეთის ომი და თავად ამ ხელისუფლების პირველი პირის მიერ ჯერ პრეზიდენტის პოსტის დაკარგვა, შემდეგ საქართველოდან წასვლა.

“სათას“ ახალი ტიპის ბიბლიოთეკა

ხელისუფლების მორიგ შეცდომას წარმოადგენდა თუნდაც ეს ფაქტ: თურმე მაშინდელ კულტურის სამინისტროს თავკაცებს დიდად არ ეჭაშნიკათ ასოციაციის ინიციატივით არაფორმალური ლიტერატურის ბიბლიოთეკის გახსნა. საქმე ის იყო, რომ 40-მდე ქართული დასახელების და 100-მდე რუსული დასახელების პერიოდულ გამოცემას თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტზე განთავსებულ საქალაქო ბიბლიოთეკის მე-9 ფილიალში მიუნიწეს ადგილი. თანაც, ამ ახალი ტიპის, ე.წ. დამოუკიდებელ ბიბლიოთეკას კომერციულ საწყისებზე უნდა ემუშავა: რუსეთიდან თუ სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოტანილი ჟურნალ-გაზეთების

გაცნობისთვის მკითხველს თვეში 2 მანეთი უნდა გადაეხადა. კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ამ წამოწყებაში სათავესო ხეირი ვერ დაინახა და გვერდზე გადაა. “ჩვენთვის გაუგებარი იყო სამინისტროს პოზიცია, რადგან, წესით, წამოწყება მისთვისაც საინტერესო უნდა ყოფილიყო: ამ ბიბლიოთეკის შექმნა ხომ მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების ამღვლებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. ფაქტობრივად, ბიბლიოთეკა ჩვენი მწირი ფინანსებითა და უდიდესი ძალისხმევით მოვაწყეთ და ვინმეს მადლობას ან შექქებას არ დავლოდებივართ,” – ამბობს ზურაბ მაჭარაძე, რომელიც “სეთაში” საინფორმაციო და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებებზე მუშაობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მაჭარაძე არაერთ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციას სთავაზობდა ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობასა და მის მხარდაჭერას. ეს იყო უდაოდ რთული მისია, რადგან ამ წამოწყების მნიშვნელობა მაშინ ცოტა ვინმეს თუ ესმოდა და შესაბამისად, არც თანამშრომლობას თანხმდებოდა იოლად ვინმე.

“სეთას” საქველმოქმედო აქციები

1990 წლის 25 მარტს “ზარია ვოსტოკაში” დაიბეჭდა ინტერვიუ ალექსანდრე რუსეცკისთან, რომელიც გაზეთის კორესპონდენტს უკვე განხორციელებულ და დაგეგმილ საქველმოქმედო აქციებზე ესაუბრა: “სისტემატურად ვმოგზაურობთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ვხვდებით ხალხს; ვიყავით “სამხრეთ ოსეთში“, ხშირად მივიღივართ აფხაზეთში. სოხუმში მალე დაფუძნდება ჩვენი ასოციაციის ფილიალი. როგორც გაირკვა, აფხაზეთში ძალიან ბევრ აფხაზს, რუსსა და სომეხს სურს ქართული ენის შესწავლა. ვხსნით ენის შემსწავლელ კურსებს აფხაზეთის რამდენიმე რაიონში. უკვე გაგზავნეთ სახელმძღვანელოების ერთი პარტია. ამ ეტაპზე ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, ვაწარმოთ საგანმანათლებლო მუშაობა და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს განვუმარტოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მიზანი“. “სეთა” არც სხვა რეგიონებს ივიწყებდა: 1990 წლის 11 ოქტომბერს, მისი ინიციატივით, წაღკაში გაიმართა საქველმოქმედო აქცია,

რომლის მიზანს ქართული და ბერძნული კულტურების დაახლოება წარმოადგენდა. აქციაში თსუ-ს, საზოგადოება “ორფეოსისა” და „ი.ჭავჭავაძის სახელობის წიგნისმოყვარულთა საზოგადოების“ წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ: რომლებმაც მათ წალკის ბიბლიოთეკას ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა წიგნები გადასცეს. ასოციაციის ეგიდით, 1990 წლის 6 დეკემბერს თბილისის 104-ე სომხურ საშუალო სკოლაში ქართული ფოლკლორის საღამო გაიმართა. სომეხი მოსწავლეები, რომლებიც უშუალოდ ეზიარნენ პოლიფონიურ ხალხურ სიმღერებს, ასევე სიამოვნებით კითხულობდნენ ქართველი პოეტების ლექსებს.

“თანხმობის ბაღი“

“სეთამ“, “მწვანეთა პარტიასთან” ერთად, პრესაში გამოაქვეყნა მიმართვა — საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების, ასევე ყველა პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიმართ: “როგორც ცნობილია, 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ჩატარდება რეფერენდუმი, რომლის დროსაც ჩვენი ქვეყნის ყველა მცხოვრებს შეუძლია, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენისადმი. თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა, მაქსიმალურად ვეცადოთ, მთელ მსოფლიოს დავემტკიცოთ, რომ ჩვენ — ყველას სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეა გვაერთიანებს. მოგუწოდებთ საქართველოს ყველა მცხოვრებს, მხარი დაგიჭიროს ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში: რეფერენდუმამდე დარჩენილი დღეების განმავლობაში, აუცილებელია მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განვამტკიცოთ თანხმობა და სამოქალაქო მშვიდობა. 23 მარტიდან მთელ საქართველოში დაირგვება ნერგები, რესპუბლიკის დედაქალაქში კი გაშენდება “თანხმობის ბაღი“, რომელშიც პირველ ნერგებს დარგავენ ყველა პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ეროვნების წარმომადგენლები, ყველა — ის, ვინც შეუერთდება ჩვენს ინიციატივას. აღნიშნული აქცია იქნება რესპუბლიკის მოსახლეობის ერთიანობის სიმბოლო და



მნიშვნელოვანი ნაბიჯი თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზაზე.“

მართლაც, 23-დან 30 მარტის ჩათვლით, ეს სიმბოლური აქცია მოეწყო ე.წ. ქოშის გორაზე, სადაც “თანხმობის ბაღის” გაშენების მიზნით, “სეთას” წევრებთან ერთად, ნერგები დარგეს ნემო ბურჭულაძემ, გიორგი ბარამიძემ და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

“ნებისმიერ მშვიდობიან აქციას, რომლის დროსაც ადამიანები კეთილ ნებას გამოხატავენ, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. “თანხმობის ბაღის” გაშენება იყო არა მარტო კეთილი ნების გამოხატვა, არამედ – მკვეთრად განსხვავებულ პოზიციებზე მდგარ ადამიანებსა თუ პარტიებს შორის ყინულის გაღვრვის წარმატებული მცდელობა. ფაქტობრივად, ყველა პოლიტიკური ძალა, მათი პლატფორმებისა და პროგრამების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთ მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ მათ შორის სერიოზული უთანხმოებებიც არსებობდა, რაც საერთო საქმეს მკვეთრად აფერხებდა. “თანხმობის ბაღის” გაშენებამ, გარკვეული დროის განმავლობაში, ისინი დაახლოვა, რაც მაშინ ქვეყნისთვის

მეტად სასიკეთო მოვლენა იყო“, — აღნიშნავს სახელმწიფო მინისტრი, გაეროსთან ინტეგრაციის საკითხებში, გიორგი ბარამიძე.

“ყველაზე კარგად დამამახსოვრდა კეთილგანწყობა, რაც სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს შორის აქციის მსვლელობისას სუფევდა.

ისინი აღარ აკრიტიკებდნენ ერთმანეთს და რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ერთმანეთს მაგრად ჩასჭიდეს ხელი და მათ შორის განხეთქილება აღარასოდეს მოხდებოდა. რაც მთავარია, გაჩნდა ეროვნული კონსენსუსის მიღწევის დიდი იმედი; — დასძენს “მწვანეთა მოძრაობის” ყოფილი წევრი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, მარიაკა დარჩია, რომელიც თავადაც მონაწილეობდა ამ აქციაში.

ბაქოს “მშვიდობის კვირეული”

თუმცა, ეს არ ყოფილა “სეთას” მიერ განხორციელებული ერთადერთი, სიმბოლური მნიშვნელობით გამორჩეული აქცია. 1991 წლის 24-დან 30 ოქტომბრის ჩათვლით, ცნობილმა მოგზაურმა და “თეთრ რაინდად” წოდებულმა, პარიზის მოქალაქე გიორგი კრასოვსკიმ საქართველოში ჩამოიტანა გაეროს ინიციატივა, “კავკასიაში მშვიდობის კვირეულის” გამართვის თაობაზე. 24 ოქტომბერი – თავაზიანობის, 25 – თანაგრძნობის, 26 – ძალმომრეობისგან თავშეკავების, 27 – საოჯახო ჰარმონიის, 28 – სხვაგვარად მოაზროვნეთა შემწყნარებლობის, 29 – ეთნიკურ უმცირესობათა თანაგრძნობის, 30 ოქტომბერი კი შერიგებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის დღედ გამოცხადდა. ამ კვირეულის ფარგლებში აღექსანდრე რუსეცკიმ და სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა “წითელ ხილთან” მცირე, მაგრამ ღრმა იდეური დატვირთვის აქცია მოაწვევს: სამი ქვეყნის – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრების გადაკვეთაზე აღმართეს თეთრი ფერის დროშა, რომელზეც მშვიდობის სიმბოლო–მტრედის ნაფეხური იყო გამოსახული. ფაქტობრივად, ეს იყო პოლიტიკური აქცია, რომელიც უკეთილშობილეს მიზანს ისახავდა: ვგულისხმობთ სამი ქვეყნის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს. სხვათა შორის, ამ აქციამ ბევრ კეთილ და მეტად მნიშვნელოვან წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი.

“სეთას” ურთიერთობა “იუნესკოსა” და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან

“წითელ ხიდთან” გამართული აქცია ახალი იდეის დაბადების მიზეზად იქცა. “კავკასიაში მშვიდობის კვირეულის” დამთავრების შემდეგ, ალექსანდრე რუსეცკიმ “იუნესკოს” ეროვნული კომისიებისა და კლუბების განყოფილების ხელმძღვანელ ანნა ვილინგს–გრინდას წერილი გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებდა კრასოვსკის ვიზიტისა და გაეროს ინიციატივის განხორციელების შესახებ. წერილის დასასრულს კი ასეთ იდეას უზიარებდა: “თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელით პატივი მაქვს, გთხოვოთ თანხმობა საქართველოში იუნესკოს ინიციატივის მხარდამჭერი სტუდენტთა კლუბის შექმნის თაობაზე. მზად ვართ, პროპაგანდა გავუწიოთ თქვენს იდეებსა და შემოგთავაზოთ, ჩვენი ერთობლივი ანალიზისთვის, მონაწილეობა მივიღოთ კონკრეტულ საერთაშორისო ინიციატივებში. ჩვენი განზრახვის სერიოზულობაში რომ დაგარწმუნოთ, გვინდა შემოგთავაზოთ საერთაშორისო გამოფენა იმ ბავშვების ნახატებისა, რომლებმაც გადაიტანეს ჩერნობილის კატასტროფა, მიწისძვრა სომხეთში და 9 აპრილის ტრაგედია. მიგვაჩნია, რომ ამ გამოფენამ უნდა მოიაროს პლანეტის ყველა დიდი ქალაქი“.

“სეთას” არქივში ასევე ინახება წერილი, რომელიც “გაეროს ინიციატივების მხარდამჭერი საქართველოს ახალგაზრდული კლუბის” (გიმსეკ–ი) სახელით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა. მასში საუბარია კლუბის ზოგად რეკომენდაციებსა და სამომავლო გეგმებზე: “გიმსეკ–ის საპროგრამო მიზანია, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს დეიხოლაციის პროცესში, ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციას საერთაშორისო სტრუქტურებში – არასამთავრობო დონეზე და საქართველოს გაერთიანებას საერთაშორისო ოჯახში სრულფუნქციონირებელი წევრად. ჩვენი აზრით, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გიმსეკ–ის საქმიანი ურთიერთობა ხელს შეუწყობს დემოკრატიული პოლიტიკის გატარებას, საქართველოში მშვიდობის, სტაბილიზაციის დამყარებას, ასევე — სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის არსებული კონფლიქტების შემცირებას.

გაეროს ინიციატივების მხარდამჭერი საქართველოს ახალგაზრდული კლუბი გთავაზობთ:

- 1) ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ჩამოყალიბდეს საკორდინაციო ჯგუფი, რომელიც დაამუშავებს ჩვენი ურთიერთობის პროექტს;
- 2) იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთთანამშრომლობა დადებით შედეგს გამოიღებს, სასურველი იქნება, ჩვენი ურთიერთობის იურიდიული დოკუმენტის სახით გაფორმება.

ამჟამად კი, გიმსაკი ავრძელებს მუშაობას ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეასთან (ჰმა) ურთიერთობის განმტკიცების სფეროში და აპირებს 30 მაისს (1992 წელი) ჩატაროს ქ. თბილისში ჰმა-ს საკონსულტაციო სემინარი.

ამასთან, კლუბი ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს, რათა მონაწილეობა მიიღოს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში 1-4 ივლისს დაგეგმილ ევროპის ბირთვული განიარადების მე-11 კონვენტში. მოხარულნი ვიქნებით, თუ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც აქტიურად ჩაერთვება ჩვენს საქმიანობაში.“

მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში

ამ წერილებში გამოთქმული და სხვა, მსგავსი იდეების განხორციელებაზე მუშაობა უწყვეტ ლაიტმოტივად გასდევდა “სეთას” მოღვაწეობას. ამიტომ ლოგიკური იყო, რომ ალექსანდრე რუსეცი 1990 წელს მოსკოვში გამართულ “ევროპის საერთაშორისო სამშვიდობო მოძრაობის” მე-10 კონვენტში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს, სადაც, დანიელ ექსპერტთან ერთად, ცხინვალის რეგიონის პრობლემების სექციას ხელმძღვანელობდა. იმავე წელს, ალექსანდრე რუსეცი, მალხაზ რამიშვილი და სახალხო ფრონტის წევრები, მალხაზ მენტეშაშვილი და თემურ ნერგაძე მონაწილეობას იღებდნენ ვილნიუსში გამართულ “მადო-ს” (“დემოკრატიულ გაერთიანებათა საერთაშორისო ასოციაცია“) კონგრესის მუშაობაშიც. მათი მონაწილეობისა და აქტიურობის შედეგად, “სახალხო ფრონტი” ამ მეტად მნიშვნელოვანი ორგანიზაციის წევრი გახდა.

ახალი ეტაპი მესამე საქტორის განვითარებაში

აღექსანდრე რუსეცკი მონაწილეობდა 1992 წლის 26-29 მარტს ბრატისლავაში გამართულ ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის კონფერენციაში (რუსეცკის განმარტებით, ეს არის “ვეროპის საერთაშორისო სამშვიდობო მოძრაობის” შვილობილი ორგანიზაცია). კონფერენციის დასრულებიდან 2 კვირაში, 14 აპრილს, გაზეთ “სვობოდნაია გრუზიაში” დაიბეჭდა აღექსეი ლაპატინის ინტერვიუ, სათაურით: “ჰელსინკი-ბრატისლავა-თბილისი“. მასში აღექსანდრე რუსეცკი ხაზგასმით აღნიშნავდა კონფერენციის მნიშვნელობას: “ჩვენი მონაწილეობა ბრატისლავის შეხვედრაში, ასევე 24 მარტს, ჰელსინკიში, ქართული დიპლომატიის წარმატება საფუძველს გვაძლევს, იმედი ვიქონიოთ, რომ ჰელსინკის პროცესი ჰარმონიულად განვითარდება საქართველოში როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო დონეზე. საქართველოს საზოგადოებრიობა უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ პროცესში. კონფერენციაზე განხილული პრობლემებიდან ერთ-ერთი უმთავრესი იყო ნაციონალიზმის თანამედროვე გამოვლინებათა საკითხი. ითქვა, რომ ანტინაციონალიზმი არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე ნაციონალიზმი. ნაციონალიზმზე დისკუსიასთან დაკავშირებით, წარმოიშვა რასიზმისა და ანტისემიტიზმის პრობლემა რამდენიმე ევროპულ სახელმწიფოში. საქართველოშიც, სხვა ქვეყნებზე არანაკლებ, ირდევს ადამიანის უფლებები; ამ დარღვევებზე არ უნდა აიგოს პოლიტიკა, არამედ საჭიროა, შეიქმნას უფლებების დამცველი ინსტიტუტები როგორც სახელმწიფო, ასევე საზოგადოებრივ დონეზე და მოიძებნოს მისი გადაჭრის გზები. მთავარია, მინიმუმამდე შემცირდეს ეს დარღვევები. ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა: შეიქმნას დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტები და ამის პარალელურად, საზოგადოებრივი მექანიზმები ზოგადადამიანური, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა უმცირესობათა უფლებების დასაცავად. კონფერენციაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც დაიღო საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, მშვიდობიანი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ. ამ შეთანხმების საფუძველზე 18-19 აპრილს შედგება ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის (შსა) სამივე რესპუბლიკის

კომიტეტების საკონსულტაციო შეხვედრა, 30 მაისიდან 3 ივნისამდე კი თბილისში შედგება შეხვედრა ჰსა-ს ხელმძღვანელობასთან, სადაც განიხილება საზოგადოებრივი მოძრაობის როლი ჩვენს რეგიონში კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებაში“.

“სვობოდნაია გრუზიასთვის” მიცემული ინტერვიუდან ამ მოცულობის ამონარიდი შემთხვევით არ ამოგვიღია: პრობლემები, რომლებზეც მასში იყო საუბარი, დღესაც აქტუალურია. ამასთან, თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს იმ საკითხებსაც, რაზეც “სეთა” მუშაობდა.

ყამირის ბატახვამდე და მის შემდეგ...

ამჟამად აღარავინ დავობს იმაზე, რომ საქართველოში არასამთავრობო სექტორი დღესდღეობით საკმაოდ აქტიური და განვითარებულია. თუმცა, 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში ეს ტერმინი არ არსებობდა. ამ როლს მაშინ ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასრულებდნენ, როგორც “სეთა” იყო. ამ თვალსაზრისით მაშინ ჯერ კიდევ ყამირი არსებობდა. “კარგად ვგრძნობდით ახალი ცხოვრების დაწყებას და ვცდილობდით, ტოლი არავისთვის დაგვედო. სიმართლე რომ ითქვას, უფროსი თაობის ზოგი წარმომადგენელი ერთგვარად ეჭვის თვალთ უყურებდა ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს და ალბათ, ფიქრობდნენ კიდევ, რომ მას თავს ვერ გავართმევდით. ყველაფრის მიუხედავად, ახალი წამოწყებისთვის მცდელობა არ დაგვიკლია. უპირველესად, ეს იყო ქვეყანაში სამოქალაქო აქტივობის განვითარებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამღვლეების ხელშეწყობა. ფაქტობრივად, ამას ვაკეთებდით ძლიერი ფინანსური ბაზის არარსებობის პირობებში. ქვეყანაში ე.წ. მესამე სექტორის აქტიურად ჩამოყალიბება შედარებით გვიან, 1995–96 წლებში დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისთვის ეს რთული გზა მეტ-ნაკლებად უკვე გაკვალული იყო“,- აღნიშნავს მალხაზ რამიშვილი, რომელიც “სეთას” შემდეგ მედია-ბიზნესში ჩაება: იგი გაზეთების, “რეზონანსისა” და “ახალი ვერსიის” ერთერთი დამფუძნებელი და გამომცემელიცაა.

“სეთა” და გაზეთ “ჩეზონანსის” ისტორია

ბატონი მალხაზი იმასაც იხსენებს, რომ ეროვნული მოძრაობის წლებში რუსეთში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და საქართველოში საკმაოდ ძლიერი და ანგარიშგასაწვევი იყო დამოუკიდებელი პრესა. “ამ გარემოებამ და საერთოდ, პრესის მნიშვნელობამ ჩვენი ყურადღება თავიდანვე მიიქცია როგორც იდეოლოგიური, ისე კომერციული თვალსაზრისით. ფაქტობრივად, არანაირი ჟურნალისტური განათლება არ გექონია. ამ მხრივ მეტი გამოცდილება ჰქონდა ჩვენი ასოციაციის ხელმძღვანელს, რომელიც ჯერ კიდევ სამხედრო სამსახურში ყოფნისას მუშაობდა ხელნაწერ გაზეთ “სამშობლოს ცისკარის” მომზადებაზე. ასე რომ, გაზეთის სპეციფიკა მას უკეთ ესმოდა. მისი გამოცდილება ძალიან დაგვეხმარა, როდესაც, “სეთას” მუშაობის აუცილებლობიდან გამომდინარე, გაზეთის გამოცემა ვცადეთ” – ამბობს იგი.

“ხელნაწერ გაზეთ “სამშობლოს ცისკარში” ეროვნული თვითგამორკვევისა და ჯარისკაცთა უფლებების დაცვის საკითხებზე ვწერდით. მასში მუხრან მაჭავარიანის, ლადო ასათიანისა და სხვა ქართველი პოეტების ლექსებიც შეგვექონდა; გაზეთს არა მარტო ჩვენს, არამედ ვოლოგდის, მოსკოვისა და ლენინგრადის სამხედრო ნაწილებშიც ვავრცელებდით. მისი გადაწერა ერთ-ერთ ჩვენს მეგობარ ლაშა კობახიძეს ვვალდებოდა, რომელიც 15–20 ეგზემპლარს აკეთებდა ხოლმე. ერთ დღეს მას ხელნაწერი გაზეთების დასტა აღმოუჩინეს, რასაც სამხედრო ნაწილში გარკვეული დაძაბულობა მოჰყვა. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ, მისი გამოცემა შეგვეწყვიტა” – იხსენებს ალექსანდრე რუსეციკი.

1990 წელს “სეთამ” საკუთარი გაზეთის, “ვესტნიკ ანს (ასაციაცია ნაციონალნოვო საგლასია) გრუზიის” გამოცემა დაიწყო. იმავე წლის ერთ მშვენიერ დღეს, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის თანაშემწემ “სეთას” ოფისში დარეკა და მის წევრებს სთხოვა, გაზეთის ამ სახელწოდებით გამოცემა შეეწყვიტათ. მიზეზად კი ის ფაქტი დაასახელა, რომ თავის დროზე ზვიად გამსახურდია გამოსცემდა “ვესტნიკ გრუზიი“-ს და დაახლოებით იმავე სახელწოდების მქონე სხვა გაზეთის გამოსვლა

გამართლებული არ იყო. იმ დღიდან “სეთას” აღნიშნული გაზეთი აღარ გამოსულა. სამაგიეროდ, ასოციაციის წევრებმა დაიწყეს ფიქრი ახალი გაზეთის სათაურზე. ყველას მოეწონა აღექსანდრე რუსეცკის მამის — ბატონ ვლადიმერ რუსეცკის წინადადება, მისთვის “რეზონანსი” დაერქმიათ. ასე გაჩნდა დღემდე მოქმედი ეს გაზეთი, რომელიც “სეთას” მისი არსებობის დროსვე გამოეყო. მისი სათაური კი ასე იშიფრება: “რეზონ“- “ანს“. “რეზონ” — ფრანგული სიტყვაა და გონიერებას, ინტელექტს ნიშნავს. ხოლო “ანს” ისევე იშიფრება, როგორც წინა სათაურში (“ასაციაცია ნაციონალნოვო საგლასია“). “ეს გაზეთი “სეთას” ერთი მიზეზით გამოეყო: ასოციაციის ხელმძღვანელობას სურდა, “რეზონანსს” მხოლოდ პოლიტიკური კუთხით ემუშავა, უფრო სწორად — მხოლოდ “სეთას” მოღვაწეობა გაეშუქებინა. ასოციაციის წევრების ერთმა ნაწილმა კი ჟურნალისტიკაში გადასვლა გადაწყვიტეთ; ამიტომ შევთანხმდით, რომ “რეზონანსი” დამოუკიდებლად გააგრძელებდა მოღვაწეობას და ამ შეთანხმების საფუძველზე მოხდა მათი მშვიდობიანი დაშორება,” – განმარტავს გაზეთის ერთერთი დამფუძნებელი ზურაბ მაჭარაძე, რომელიც დღესაც “რეზონანსში” მუშაობს.

ეპილოგის მაგიერ...

ეს ფაქტი იმიტომ აღვნიშნეთ, რომ 1992 წლის 26 მარტს “სეთამ” ისევე იცვალა სახე, როგორც მისმა პირველმა გაზეთმა; კერძოდ, ქ. ბრატისლავაში გამართულ კონფერენციაზე ამ ორგანიზაციას ახალი სახელი უწოდეს — “ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი“, რომელიც დღემდე ნაყოფიერად მუშაობს; ასე რომ, 1989 წელს დაწყებული საქმე კვლავ გრძელდება, ოღონდ – უფრო მრავალფეროვანი სახით და შესაბამისად, უფრო მეტ საკითხსაც მოიცავს. წინამდებარე გამოკვლევა წარმოადგენს ტრილოგიის პირველ ნაწილს; მისი მეორე ნაწილი კი უახლოეს მომავალში მომზადდება და გამოიცემა.



დაიბეჭდა “ქალთა პოლიგრაფიულ სერვისში”

ტელ: (995 32) 942 699

www.ginsc.net